ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 12 - 13 მაისი, 2018

№111 (7656)

ფასი: 50 თეთრი

2019 წლის 1 იანვრიდან 1 და 2-თეთრიანებს დავემშვიდობებით – მოიმატებს თუ არა ფასები?

გვ.5

3 მაისიდან „50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იქნება თუ არა ივანიშვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი

„ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ოპოზიციის დეფიციტია“

რატომ მივიდნენ მინისტრები ყრილობაზე სამარშრუტო ტაქსით

გვ.2

გოჩა მაჩაიძე: „რა ვქნა, ხმალი ავიღო?“

ცნობილი ფეხბურთელი პარლამენტთან შიმშილობის შემდეგ კლინიკაში გადაიყვანეს

გვ.7

ოთარ ანგურიძე: „ბანკებს არაპროფილური ბიზნესები არ უნდა ჰქონდეთ“

გვ.5

„დღეს ეროვნულ ბანკს პოლიტიკას კომერციული ბანკები კარნახობენ“

გვ.3

გიგა ბოკერია: „ივანიშვილისგან სიახლე არ გაგვიგია, გარდა იმისა, რომ ფარაონი გამოჩნდა“

ეკონომიკა

გვ.6

დენის, გაზის და წყლის ტარიფები საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში

მამუკა ბახტაძე: „საბანკო გარანტიის სქემა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომას გააიაფებს“

ISSN 1987-9385

5 ირაკლი კოვზანაძე: „საკრედიტო-საგარანტიო სქემა მცირე მეწარმეებს ფინანსების მოზიდვაში დაეხმარება“

4 „თავს შევიკავებთ იმ ადამიანის დასახელებისგან, ვინც დავით ქევხიშვილის უკან დგას“

5 ირაკლი იაშვილი: „ზოგიერთ კომერციულ ბანკში პროექტის მიტანა უსაფრთხო არ არის“

6 აშშ-ში სულაც არ არის სავალდებულო, სესხის ასაღებად პირი რამდენიმე ან თუნდაც ერთ სახლს ფლობდეს

იქნება თუ არა ივანიშვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი

„ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ოპოზიციის დეფიციტია“

შორენა მარსაგიშვილი

11 მაისს მთაწმინდის პარკში ბიძინა ივანიშვილის მეოხედ მოსვლა ოფიციალურად გაფოხმდა. „ქართული ოცნების" ხიგით მეხუთე ყრილობამ ყოფილი პრემიერი პარტიის თავმჯდომარედ აირჩია.

პარტიის თავმჯდომარის გარდა, ყრილობამ პოლიტსაბჭოს განახლებული შემადგენლობაც დაამტკიცა.

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკურ საბჭოს სულ 15 წევრი ეყოლება. ესენი არიან: „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი, ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ილია ნაკაშიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე პარლამენტში მამუკა მდინარაძე, პარლამენტის წევრები – დიმიტრი სამხარაძე, ბიძინა გეგიძე, ირაკლი ტრიპოლსკი, მთავრობის წევრები – მაია ცქიტიშვილი და სოზარ სუბარი, დედაქალაქის მერი კახა კალაძე და „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე.

წყევლა-კრულვა და ჩინოსნები მარშრუტკაში

მმართველმა პარტიამ ყრილობამდე ერთი დღით ადრე დააანონსა, რომ მათი ღონისძიება ორნაწილიანი იქნებოდა. პირველი ნაწილი მედიისთვის და ავი თვალისთვის მართლაც დახურეს. ბიძინა ივანიშვილი რომელ კატეგორიაში გადიოდა, ვერ გეტყვით, მაგრამ დახურულ ფართიზე არ გამოჩენილა.

ის მთაწმინდის პარკში ღია ნაწილის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მივიდა. მეოცნებეები ლიდერს გაისკროვნებული სახეებით შეჰყურებდნენ. მათი ბედნიერება მაშინ უნდა გენახათ, როცა ლიდერმა ხმა ამოიღო. ყოფილი პრემიერი 25 წუთის მანძილზე მიმართავდა ერს და თანაპარტიელებმა მას სიტყვა 31-ჯერ შეაწყვეტინეს. ტაში იყო მქუხარე და ხანგრძლივი.

ტაშამდე მეოცნებეებს საკმაოდ მძიმე გზის გავლა მოუწიათ. ჯიპებზე გადაწყობილი ჩინოსნები მთაწმინდის პარკში სამარშრუტო ტაქსებით ავიდნენ. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ამისკენ მათ ლიდერმა მიუთითა და გაახსენა, რომ ჩვეულებრივი ცოდვილი მოკვდავები არიან.

მარშრუტკით ნატანჯ მეოცნებეებს გუნება მათთვის გაფენილმა ლურჯმა ხალიჩამ გამოუკეთა. ლურჯი ხალიჩის დანახვამ მათ საპროტესტო აქციაც დაავიწყა.

ყრილობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მთაწმინდას პარკთან ბავშვთა სამყაროს ხანძრით დაზარალებულები შეიკრიბნენ.

ისინი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრასა და ზარალის ანაზღაურებას ითხოვდნენ. მათ სურდათ იმ ტერიტორიაზე შესვლა, სადაც ყრილობა უნდა გამართულიყო. თუმცა ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცავებმა ამის უფლება არ მისცეს.

– კუბოები გაეტანათ ივანიშვილს, კალაძეს და სხვას, ვისაც ჩვენი ბაზრის დაწვაში მიუძღვის ბრალი. 4 ადამიანი მოგვიკვდა უკვე, – აცხადებენ გამწარებული დაზარალებულები.

მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ერთ-ერთი დაზარალებული თავის დაწვით იმუქრებოდა.

„ასეთი თავისუფალი საქართველო არასდროს ყოფილა“

მეოცნებეთა ტაშით გაჯერებულ სიტყვაში ყოფილმა პრემიერმა იმ მიზეზებზე ისაუბრა, რამაც მეორედ მოსვლა გადააწყვეტინა.

– მაინც მომიწია ამ ტრიბუნასთან დადგომა. დიახ, მომიწია იმ თანამიმდევრობის დარღვევა, რომლის შესახებაც პოლიტიკაში შემოსვლისთანავე განვაცხადე, მაგრამ როცა შენს ხალხზე, ქვეყანაზეა ლაპარაკი და ვითარება გადაწყვეტილების შეცვლას ითხოვს, გაჯიუტება საკუთარ თავთან არასწორია, – ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ივანიშვილმა.

ამ გამოსვლით ის ძალიან ჰგავდა მიხეილ სააკაშვილს. საქართველოს მესამე პრეზიდენტის მსგავსად, გამუდმებით ხაზს უსვამდა, რომ ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა. სააკაშვილი ცოტა სხვანაირად ამბობდა – პირველად საქართველოს ისტორიაშიო, მაგრამ სულისკვეთება ორივეს ერთი აქვს. ეს გასაკვირი არცაა, ივანიშვილი და სააკაშვილი 2003-2011 წლებში ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.

მიზეზების დასახელებამდე მან პარტიასთან ერთად განვლილი გზა მიმოიხილა:

– დღეს საქართველოს მოქალაქეები რეალურად თავისუფლები და სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი თვითნებობისაგან დაცულნი არიან. შეგახსენებთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სწორედ ეს იყო ჩვენი ხალხის ერთ-ერთი მთავარი ეროვნული ამოცანა.

დღეს ჩვენ გვყავს არა არჩევნების გაყალბებით, დაშინებითა და ძალადობით მოსული, არამედ ხალხის ნდობის საფუძველზე შერჩეული, ცხადია, არა უნაკლო, მაგრამ რაც მთავარია, ადამიანზე, როგორც მთავარ ღირებულებაზე ორიენტირებული ხელისუფლება. ამის თვალსაჩინო მაგალითი, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საყოველთაო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

დღეს სრულად დაცული და ხელშეუხებელია კერძო საკუთრება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ფეხქვეშ გათელილი და განადგურებული იყო. აღარ არსებობს ელიტარული კორუფცია, ხელისუფლებასთან შეზრდილი ბიზნესმენების მიერ ხელში ჩაგდებული და მონოპოლიზებული სფეროები, სადაც ფეხის შედგმის გაფიქრებაც კი ჩვეულებრივ მეწარმეს მრავალწლიან პატიმრობად და მთელი ქონების დაკარგვად უჯდებოდა.

ბიძინა ივანიშვილის მტკიცებით, საქართველოს ისტორიაში ბიზნესი ისეთი თავისუფალი და დაცული არასდროს ყოფილა, როგორც ახლა.

– სწორედ ამან განაპირობა, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო წლებში არსებული არასტაბილურობისა და რყევების მიუხედავად, საქართველო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო ქვეყანაა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ კი შარშან საქართველოს ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

ბოლო 5 წლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, საქართველო ლიდერობს რეგიონში, ხოლო სავალუტო ფონდის ბოლო, განახლებული მონაცემებით, მომავალი 6-წლიანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, საქართველო ლიდერია არა თუ რეგიონში, არამედ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორისაც, – მოიწონა თავი ყოფილმა პრემიერმა.

ერს და ტაშისმკვრელებს უმტკიცებს, რომ ხელშესახები პროგრესია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზირების კუთხითაც. ამბობს, რომ რადიკალური გარდატეხა მოხდა პენიტენციალურ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით.

ამაყობს თავისი თანაგუნდელების დაწერილი კონსტიტუციითაც.

– წარმატებით დავასრულეთ საკონსტიტუციო რეფორმის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი და იმ კონსტიტუციის ნაცვლად, რომელიც ფორმალურად ამართლებდა ერთი ადამიანის მარადიულ მმართველობას, მივიღეთ ხალხის მმართველობაზე ორიენტირებული ევროპული სტანდარტის ძირითადი კანონი. ეს კონსტიტუცია საქართველოს შეუქცევადი დემოკრატიული პროგრესის საყრდენი და წინაპირობაა, – აცხადებს ივანიშვილი.

ქვეყნის მთავარი მეოცნების თქმით, თვალშისაცემია წინსვლა საგარეო მიმართულებითაც.

– არასოდეს საქართველო ისე დაახლოებული არ ყოფილა ევროპასთან და ნატოსთან, როგორც ამჟამად. ჩვენ ერთიანი ევროპული ოჯახის ასოცირებული წევრები ვართ და ეს ფაქტი უკვე იურიდიულადაც დადასტურებულია. ამოქმედებულია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობისა და უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, რომლითაც უამრავმა ადამიანმა ისარგებლა.

საგრძნობლად განმტკიცდა და გაღრმავდა ურთიერთობა ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ჩვენ ნაწილობრივ უკვე მოვახერხეთ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, შესაძლებელი გახდება ურთიერთმოსმენისა და დიალოგის რეჟიმზე გადასვლა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანების ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევის პერსპექტივებს შექმნის.

და ბოლოს, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ყველაზე ცვალებად, არაპროგნოზირებად, ტერორიზმისა და გლობალური სამხედრო კონფლიქტის საშიშროების წინაშე მდგარი მსოფლიოს პირობებში, როცა არნახულად მაღალია გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების დაპირისპირების ხარისხი, ჩვენ შევძელით საქართველოს მოქალაქეებისათვის უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფა. ჩვენ შევძელით სტაბილურობის შენარჩუნება, – აღნიშნა ნაპრემიერალმა.

„მე ვიგრძენი, რომ „ოცნება“ დაშორდებოდა ხალხს“

პოლიტიკაში მის მეორედ მოსვლას მრავალი შეფასება მოჰყვა. მთავარ ვერსიად „ოცნებაში“ არსებული პრობლემები სახელდებოდა. მმართველ პარტიაში რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო, ეს თავად მეორედ მოსულმაც დაადასტურა.

ბიძინა ივანიშვილი:

– რატომ ვბრუნდები პოლიტიკაში, მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინ საჯაროდ განვაცხადე, რომ ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მივიღებდი. რატომ გადავწყვიტე ახლა, კვლავ ჩავუდგე სათავეში იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც 2012 წელს დავაფუძნე და ჩემს ხალხთან ერთად შევასრულე ჩემს ცხოვრებაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მისია – დავამარცხეთ და, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის მართვას საბოლოოდ ჩამოვაშორეთ მოძალადე და ხალხის მჩაგვრელი ხელისუფლება. ამის შემდეგ საკუთარი ინიციატივით გავედი აქტიური პოლიტიკიდან, რადგან ჩავთვალე, რომ ჩემი როლი საზოგადოების განვითარებაში უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა და დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან ის, რაც ჭარბად გამაჩნდა –

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბურჯანაძე: „ივანიშვილმა თუ არ იცის, ვეუბნები, რომ ქვეყანაში ძალიან მაღალია ელიტური კორუფცია“

– თუ არ იცის, ვეუბნები, რომ ქვეყანაში ძალიან მაღალია ელიტური კორუფცია და კარგად დააკვირდეს თავის გარემოცვას, – ეს განცხადება, „დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერმა გააკეთა. ნინო ბურჯანაძემ ბიძინა ივანიშვილის მიერ

პარტიის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლის დროს გაკეთებული განცხადებები შეაფასა.

მისი თქმით, ივანიშვილი საუბრობდა იმ საქართველოზე, რომელიც არ არსებობს, რადგან ქვეყანაში არა თუ გამოსწორდა ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ დამძიმდა.

ნინო ბურჯანაძემ ივანიშვილის იმ განცხადებაზეც გააამახვილა ყურადღება, რომელიც ქვეყნის ევროინტეგრაციას ეხებოდა.

– საუბარი იმაზე, რომ საქართველო ასე ახლოს ევროპასთან და ნატოსთან არასდროს ყოფილა, ჩემთვის სევდიანად სასაცილოა. იმიტომ, რომ მე ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი, მართალია მაშინ უვიზო მიმოსვლა არ იყო, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი, როდესაც საქართველოში არსებული პრობლემები, პირველ რიგში აფხაზეთში და სამაჩაბლოში არსებული პრობლემები და თავად საქართველო, ყველა საერთაშორისო ფორუმის მთავარ დღის წესრიგში გახლდათ, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ცვლილებებს, რომელზეც ოპოზიცია ვეტოს დადებას ითხოვს, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა

პარლამენტის მიერ პარტიათა დაფინანსების წესში განხორციელებულ ცვლილებებს, რომელზეც ოპოზიციური პარტიები ვეტოს დადებას ითხოვდნენ, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა. კანონში შეტანილი ცვლილებები გიორგი მარგველაშვილის ხელმოწერით „საკანონმდებლო მაცნეში“ 10 მაისს გამოქვეყნდა და გამოქვეყნებისთანავე ძალაში შევიდა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებები პარლამენტმა მესამე მოსმენით 18 აპრილის პლენარულ სხდომაზე მიიღო.

ოპოზიციამ კი ერთობლივი წერილით გიორგი მარგველაშვილს მიმართა და ვეტოს დადება მოითხოვა.

გამოკითხულთა 76% ეკლესიას, ხოლო პრემიერს 27% ენდობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს ასაჯაროებს. კვლევა საჯარო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას ეხება.



ორგანიზაციამ მთელი ქვეყნის მასშტაბით 1.800 ადამიანი გამოკითხა. მათ ყველაზე ნაკლები ნდობა აქვთ სასამართლოსა და პარლამენტისადმი. გამოკითხულთა შეფასებით სასამართლო, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს.

კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვაზე: რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოში?

1. ეკლესია/თქვენი რელიგიური აღმსარებლობის ორგანიზაციებს – 76%; 2. მასწავლებლებს – 65%; 3. ექიმებს – 50%; 4. პრეზიდენტს – 41%; 5. პოლიციას – 36%; 6. ადგილობრივ ხელისუფლებას – 32%; 7. პრემიერს – 27%; 8. არასამთავრობებს – 25%;

იქნება თუ არა ივანიშვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი

რატომ მივიდნენ მინისტრები ყრილობაზე სამარშრუტო ტაქსით

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხალხის ნდობა – ხელისუფლებაზე მეტად მაშინ საზოგადოებას უფრო სჭირდებოდა.

მაშ ახლა რატომღა ვდგამ ამ ნაბიჯს, რატომ გახდა საჭირო პოლიტიკაში ჩემი დაბრუნება? ეს არის კითხვა, რომელზეც საზოგადოება ჩემგან მკაფიო პასუხს ელის და მეც მზად ვარ, გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებები.

ჩვენ ვდგავართ ძალზე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, რასაც პირობითად სამი მიზეზი განსაზღვრავს და უქმნის ნოყიერ ნიადაგს.

მან თავისი მეორედ მოსვლა სამი მიზეზით ახსნა:

პირველი მიზეზია – ობიექტურად არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამ, ისედაც რთული ვითარების კიდევ უფრო მძაფრ, ხელოვნურად დამძიმებულ ფერებში წარმოჩენის განუწყვეტელი მცდელობები;

მეორე – ოპონენტების უმრავლესობისგან მომდინარე უკიდურესად დესტრუქციული მუხტი.

მესამე – ხელისუფლების შიგნით არსებული, მართალია სუსტი, მაგრამ მაინც სრულიად არასაჭირო, უსაფუძვლო და ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელი გაუგებრობები.

ბიძინა ივანიშვილს უყვარს ჩაზუსტებები და თანაპარტიელებს ეს მიზეზები უფრო დეტალურად ჩაუზუსტა. ამ ჩაზუსტებებისას მას ოპოზიციაც შემოელანძღა და მედიაც.

ბიძინა ივანიშვილი:

– ზედმიწევნით კარგად ვიცი, რა სირთულეების წინაშეა დღეს რიგითი მოქალაქე. დღემდე მწვავეა უმუშევრობის, ხოლო დასაქმებულთათვის არასაკმარისი ხელფასის, აგრეთვე პენსიების პრობლემა, – სამწუხაროდ, ძვირდება ცხოვრება.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ დღევანდელ საქართველოში პოლიტიკურ პრობლემებს მნიშვნელოვანწილად ქმნის ის, რომ ერთი მხრივ გვაქვს თითქმის ევროპული ხარისხის დემოკრატია, რასაც მეორე მხრივ ბევრად ჩამორჩება ეკონომიკური განვითარების დონე. დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის ასეთი დისპროპორცია იმდენად უნიკალური მოვლენაა, რომ ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე სხვა ქვეყანა, სადაც ანალოგიური მდგომარეობაა. ტრადიციულ დემოკრატიებში ეკონომიკა და თავისუფლებები, როგორც წესი, ერთმანეთს ზრდიდნენ და ავსებდნენ.

ამ დისჰარმონიის აღმოფხვრა თანამედროვე საქართველოს უმთავრესი გამოწვევაა და ამ გზაზე, როგორ რთულ ამოცანადაც არ უნდა ჩანდეს ეს, ჩვენ არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ გავაკეთეთ და გადაჭრით ვთქვით, რომ ეკონომიკა უნდა დავაწიოთ დემოკრატიას და არა პირიქით. აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიის მაღალი დონე და მუდმივად ვიზრუნოთ მის განვითარებაზე. დემოკრატია არის ჩვენი უპირობო არჩევანი, თუმცა, სწორედ ამ არჩევანისადმი ერთგულება გარკვეულწილად ზრდის ქვეყანაში პოლიტიკურ რისკებს, რადგან ავანტიურისტული ჯგუფები დესტრუქციული ქმედებებით იბრძვიან ძალაუფლებისთვის.

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალური ინფორმირებულობის ეპოქაში, სადაც საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ სრული საინფორმაციო თავისუფლებით და ხელმისაწვდომობით. ისინი, ამავე დროს, უვიზოდ მოგზაურობენ ევროპის და მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და თვალნათლივ ხედავენ იქაური და აქაური ცხოვრების დონეს შორის არსებულ უზარმაზარ ეკონომიკურ და სოციალურ კონტრასტს. განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი ხშირად 5-ჯერ და 10-ჯერ აღემატება ჩვენსას. ასეთ დროს, ცხადია, ბუნებრივად ჩნდება სურვილი, რომ საქართველოში ცხოვრების დონე ევროპულს გაუტოლდეს და ეს დაუყოვნებლივ, ან მაქსიმალურად მოკლე დროში მოხდეს.

არაფერია უცნაური და გაუგებარი იმაში, რომ ხალხს უკეთესად ცხოვრება სურს, მაგრამ უცნაური და გაუგებარი ისაა, რომ საქართველოში თითქმის ვერ ვნახავთ პოლიტიკოსს და ექსპერტს, ვინც სიმართლეს ეტყოდა და გასაგებად აუხსნიდა ადამიანებს, რომ ევროპას ასწლეულების განმავლობაში მრავალი ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმის გადატანა დასჭირდა, ვიდრე ცხოვრების დღევანდელ დონეს მიაღწევდა და, რომ ბუნებაში ვერ იარსებებს ხელისუფლება, რომელიც შეძლებს ეკონომიკა წელიწადში ხუთი და ექვსი კი არა, არამედ ექვსასი პროცენტით გაზარდოს.

მედიის თავისუფლების ხარისხის მკვეთრმა ზრდამ, რაც ჩვენი ხალხის განსაკუთრებული მონაპოვარი და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ არსებული ხელისუფლების დამსახურებაა, უამრავ სიკეთესთან ერთად, განაპირობა სიცრუისა და პროპაგანდის მანქანის ძალიან დიდი სიმძლავრით ამუშავება.

რიგი პოლიტიკური პარტიების მიერ მართული ტელევიზიები, ტყუილის წარმოების კონვეიერში ჩართული პოლიტიკოსები და ეგრეთწოდებული ექსპერტები მიზანდასახულად ნერგავენ უიმედობის, სასოწარკვეთილების და შიშის ატმოსფეროს. ეს „ცარიელი სიმრავლე“ ცდილობს დააჯეროს ხალხი, რომ ქვეყანა ინგრევა, ლამის აპოკალიფსი მოახლოვდა და ყოველივე ეს არის ამ ხელისუფლების საქმიანობის შედეგი, რომელიც თითქოს არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ცხადია, ეს ბრალდებები არც ერთი მეტ-ნაკლებად სანდო და დასაბუთებული არგუმენტით არ არის გამყარებული, თუმცა შეჭირვებული და სიდუხჭირით დაღლილი ადამიანები ამ ოსტატურად შეფუთულ ტყუილებს იყენებენ.

გადაჭარბების გარეშე მინდა გითხრათ, რომ საქართველოში დღეს მიმდინარეობს არნახული საინფორმაციო იერიში ადამიანთა ცნობიერებაზე. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ერთგვარი სტანდარტი, რომლის თანახმადაც ფაქტს „ახალი ამბის“ სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ იგი ნეგატიურ კონტექსტს შეიცავს.

სამწუხაროდ, ამ ნეგატიურმა ტრენდმა, პრაქტიკულად, საყოველთაო ხასიათი მიიღო და უნდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლებამაც სათანადოდ ვერ უპასუხა ამ გამოწვევას.

მეორე პრობლემა, რამაც დღევანდელი გადაწყვეტილების მიღებისკენ მიბიძგა, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ოპოზიციის დეფიციტია. ჩვენი ოპონენტების უღირსი ნაწილი ხელისუფლებასთან არგუმენტირებული მეტოქეობის, გონივრული, უკეთესი ალტერნატივების შეთავაზების და დასაბუთებული კრიტიკის ნაცვლად, შეპყრობილია მხოლოდ ანტიდემოკრატიული რევანშის წყურვილით.

ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან არა უკეთესი პროგრამების წარმოდგენაში, არამედ ქვეყანაში უპერსპექტივობისა და უიმედობის ატმოსფეროს დანერგვაში, რადგან კარგად იციან, რომ მხოლოდ ეროვნული პესიმიზმია მათი ის ერთადერთი პლაცდარმი, რომლიდანაც შეძლებენ ქართულ დემოკრატიაზე შურისძიებას. ხალხის ნდობის არქონის გამო, ისინი ვერ ხედავენ დემოკრატიული პროცედურებით ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივას და ამიტომაც ცდილობენ ისეთი განწყობის შექმნას, როდესაც არეულობა სიტუაციის შეცვლის ერთადერთ გზად უნდა მოეჩვენოს ხალხს.

ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ სწორედ ამ და ქვეყნის წინაშე არსებული სხვა მრავალი გამოწვევის ფონზე, ხელისუფლების შიგნით დაიწყო გარკვეული დაპირისპირება, რაც გასცდა პოლიტიკური გუნდისთვის მისაღებ დემოკრატიულობისა და აზრთა სხვადასხვაობის საზღვრებს და სწორედ ეს არის მესამე მიზეზი, რის გამოც მე პოლიტიკაში ვბრუნდები.

მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ფუჭ კინკლაობაში, თუნდაც უმნიშვნელო დრო, ენერგია და რესურსი დავხარჯოთ. დაუშვებელია, პირადი უთანხმოებისა და წყენის გამო, საერთო პარტიული და, მით უმეტეს, ეროვნული ამოცანების შესრულებისთვის თუნდაც მცირე დაბრკოლების შექმნა. მე ვიგრძენი, რომ ჩემ მიერ შექმნილი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, რომლის იდეოლოგიური მდგრადობა მის სახალხოობაშია, ამ პროცესების გაღრმავების შემთხვევაში დაშორდებოდა ხალხს. ამიტომ გადავწყვიტე დაბრუნება, დიახ – მეორედ შემოსვლა საჯარო პოლიტიკაში.

* * *

მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ ყრილობაზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მთავრობას გააკრიტიკებდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ყველაზე მეტი რისხვა გიორგი კვირიკაშვილს დაატყდებოდა თავს. პარტკომს არც მთავრობა დაუგმია და არც პრემიერი.

მისმა გამოსვლამ კი ერთი მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა – „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი თავად იქნება.

ბაზარზე საკრედიტო ბარათების რაოდენობა 85%-ით გაიზარდა — გამოუშვებენ თუ არა ბარათებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

საქართველოში საკრედიტო ბარათებზე მოთხოვნა ისევ მზარდია. ბოლო ერთ წელიწადში მათი რაოდენობა 85,3%-ით გაიზარდა.

თუ 2017 წლის მარტში ბაზარზე მიმოქცევაში 685.098 საკრედიტო ბარათი იყო, წელს მარტში ეს რაოდენობა 1.000.423 ერთეულამდე გაიზარდა. მოთხოვნის ზრდის მიუხედავად, ბანკების გარდა საკრედიტო ბარათებს არც ერთი სხვა საფინანსო ინსტიტუტი არ ფლობს. მართალია, წლების წინ საკრედიტო ბარათების გამოშვებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც აპირებდნენ, თუმცა, მისო-ების წარმომადგენლების თქმით, დღეს ამის საჭიროება აღარ დგას.

ბარათებზე უარის თქმის ერთ-ერთ მიზეზად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები მოსახლეობის ჭარბვალიანობას ასახელებენ. მეტიც, ისინი მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე საკრედიტო ბარათების გამოშვება დაგვიანებულიც კი არის.

არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელი, „ნანოკრედიტის“ დამფუძნებელი ირაკლი ბერძენაძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ მსოფლიოში საკრედიტო ბარათები ყველაზე მეტად ადაპტირებული სერვისია და საქართველოშიც კარგი იქნებოდა მისი არსებობა, თუმცა არსებული მდგომარეობის გამო, ამის საჭიროება არ დგას.

– კარგი იქნება, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ბარათების გამოყენების საშუალება ექნებათ, რადგან ეს სექტორი საბანკო სექტორისგან რეალურად არაფრით განსხვავდება. თუმცა ბოლოდროინდელ ცვლილებებსა და რეგულაციებს თუ გადავხედავთ, არ ვფიქრობ, რომ ეს საჭიროა. საკრედიტო ბარათების გამოშვება სექტორისთვის დადებითი ტენდენციის მაჩვენებელი არ იქნება. სხვათა შორის, საკრედიტო ბარათებს ყოველთვის ყველაზე მეტი ვადაგადაცილება ჰქონდა. ეს ისევ მოსახლეობას დააწვება ტვირთად. ზოგადად საკრედიტო ბარათი მსოფლიოში ყველაზე სწრაფი და ადაპტირებული მეთოდია. მეზობელი ქვეყნები, ევროპის ქვეყნებიც ბოლო პერიოდში სამომხმარებლო დაკრედიტებას საკრედიტო ბარათებით ანაცვლებენ, – აცხადებს ბერძენაძე.

მისივე თქმით, საკრედიტო ბარათების სერვისს სჭირდება ადმინისტრირება და კონტროლი, რაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ზედმეტი ტვირთი და ხარჯია.

– უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ საკრედიტო ბარათებს ფლობდნენ, მაგრამ მენეჯმენტი ძვირი ჯდება. მომხმარებელს კი მაინც ბანკთან ანგარიშსწორება უწევს. ორგანიზაცია ძალიან დიდი უნდა იყოს, რომ ეს სერვისი დაიწყოს და შემდეგ მისი მენეჯმენტი გასწიოს. თანაც მოსახლეობის კონტროლი იქნება საჭირო, ვისზე გასცენ ბარათი, რომ ვადაგადაცილების მაჩვენებელი საგანგაშო არ იყოს. ჭარბვალიანობამ იმდენად დაამძიმა მოსახლეობა, სესხის გაცემაც გართულდა, საკრედიტო ბარათი ვის უნდა მივცეთ, ეს ცალკე თემაა. ადამიანებს რამდენიმე სესხი აქვთ. ვფიქრობ, ეს თემა დაგვიანებულია. 5 წლის წინ კარგი იქნებოდა, – განმარტავს ირაკლი ბერძენაძე.

მისივე თქმით, ჭარბვალიანობა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ საკრედიტო ბარათების გამოშვება არასაჭიროდ ითვლება: „ჭარბვალიან მოსახლეობას კიდევ საკრედიტო მარჟას თუ დაუმატებ, თავიდანვე გეცოდინება, რომ შეიძლება გაგიპრობლემდეს. ბოლო დროის რეგულაციები ნაკლებად არის კავშირში ამ ყველაფერთან. აქ მთავარი ხელისშემშლელი ჭარბვალიანობის მაღალი მაჩვენებელია“.

ლაზიკა კაპიტალის დირექტორი და „მიკროსაფინანსო ასოციაციის“ თავმჯდომარე ბესო შენგელია კი პირიქით აღნიშნავს, რომ მიკროსაფინანსო სექტორის მიმართ გატარებული რეგულაციები არის ხელისშემშლელი იმის, რომ მათი მხრიდან საკრედიტო ბარათების გამოშვება მოხდეს.

– ჩემი აზრით, საჭიროება არ დგას, მით უმეტეს, ამ სექტორისთვის ახალი რეგულაციები იგეგმება. აქ იმაზე არაა საუბარია, მომგებიანი იქნება საკრედიტო ბარათების გამოშვება სექტორისთვის თუ არა. პრაქტიკული დანიშნულება ბარათს მაინც და მაინც არ აქვს. სწრაფი სესხის აღებისას ბარათის ქონის აუცილებლობა არ დგას. ამდენად, საკრედიტო ბარათების გამოშვება ამ დროისთვის არც სექტორისთვის და არც მომხმარებლისთვის მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, – აცხადებს შენგელია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო ბარათების გამოშვება 2013 წლიდან უნდა დაეწყოთ, თუმცა ეს პროცესი დროში გაიწელა. მოგვიანებით, იდეის ავტორი რამდენიმე ორგანიზაცია ბანკად გადაკეთდა და ბარათების გამოშვება როგორც ბანკმა, ისე დაიწყო.

საქართველოს ეროვნული ბანკის მარტის თვის მონაცემებით, ამ დროისთვის რეგისტრირებულია 73 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. გასული წლის ანალოგიური პერიოდის-

გიგა ბოკერია: „ივანიშვილისგან სიახლე არ გაგვიგია, გარდა იმისა, რომ ფარაონი გამოჩნდა“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას და მის მიერ პარტიის ყრილობაზე გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება.

– სიახლე არაფერი არაა, გარდა იმისა, რომ ფარაონი გამოჩნდა. კვლავ წარსულის და ოპონენტების ლანძღვა, საკუთარი თავის ქება, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე უტიფარი განცხადება. მას არ აქვს მომავლის და ქვეყნის წინსვლის არანაირი ხედვა, არ იცის, როგორ უნდა გამოვიდეთ ამ ჩიხიდან, რომელშიც მის გამო მოვხვდით. „ევროპული საქართველო“ არაფერს სასიკეთოს ამ ცვლილებებიდან არ ელის. ჩვენი ეროვნული ამოცანა უნდა იყოს ამ კაცის და მისი გუნდის წასვლა ხელისუფლებიდან, მშვიდობიანად და არჩევნების გზით, – აცხადებს ბოკერია.

მისივე შეფასებით, „ივანიშვილს აქვს ილუზია, რომ კომუნისტური მოდელის შემოტანით, როცა პარტიის უფროსი არის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელი და ყველა ინსტიტუტზე მაღლა მდგომი, უშველის არაფორმალურ მმართველობას, რაზეც ყველა საერთაშორისო დამკვირვებელი მიუთითებს“.

– ჩვენი ქვეყნისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რა ხდება ივანიშვილის თავში. არსებითი მნიშვნელობა აქვს, როდის დავამთავრებთ ამ პოლიტიკურ უბედურებას არჩევნების გზით, – განაცხადა გიგა ბოკერიამ, რომლის კომენტარს პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

„თავს შევიკავებთ იმ ადამიანის დასახელებისგან, ვინც დავით ქევხიშვილის უკან დგას“

მტკიცებულებები არის, მაგრამ თავს შევიკავებთ იმ ადამიანის დასახელებისგან, ვინც დავით ქევხიშვილის უკან დგას, რადგან არ გვინდა, ამას ისეთი სარჩული მიაკერონ, თითქოს რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას ვებრძვით, – განაცხადა ძიუდოს ნაკრების კაპიტანმა ვარლამ ლიპარტელიანმა პირველი არხის გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“.

– ეს ასე არ არის. ჩვენს ინტერესებში ვინმესთვის ტალახის სროლა არ შედის. მტკიცებულებები არსებობს. არის უამრავი ადამიანი, ვინც ამას დააფიქსირებს და ღიად იტყვის, თუ ვინ დგას დავით ქევხიშვილის უკან. ახლა, დაძაბულობა ჩვენ ოჯახშია და არ გვინდა, ის ოჯახს გარეთ გავიდეს, მაგრამ თუ იმ ზომამდე მიგვიყვანენ, რომ სხვა გზა არ გვექნება, ამ პიროვნებას აუცილებლად დავასახელებთ. ჯერ კიდევ გვჯერა, რომ დავით ქევხიშვილი სიტუაციას ჩიხში არ შეიყვანს და ისეთ გადაწყვეტილებას არ მიგვაღებინებს, რაც არ გვინდა, – განაცხადა ლიპარტელიანმა.

შეკითხვაზე, როგორია სპორტსმენების სამომავლო გეგმები იმ შემთხვევაში, თუ დავით ქევხიშვილი პოსტს არ დატოვებს, ვარლამ ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ იმედი აქვთ, სამინისტროს მიერ შექმნილი კომისია ყველაფერს დეტალურად გამოიძიებს და დავით ქევხიშვილი თანამდებობას დატოვებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის პოსტიდან არ გადადგება, სპორტსმენები შემდგომ ნაბიჯებზე იმსჯელებენ.

უდუმაშვილი: „რეალურად მას სურს, პოლიტიკური იმუნიტეტის მიღება“

ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი გამოსვლა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ზაალ უდუმაშვილმა შეაფასა და განაცხადა, რომ ივანიშვილმა დღეს ღიად დაადასტურა, რომ „ქართულ ოცნებაში“ და ხელისუფლებაში ღრმა კრიზისია. უდუმაშვილის თქმით, ივანიშვილს დღეს არ უსაუბრია პოლიტიკაში დაბრუნების მთავარ მიზეზზე, რომ პარტიაში დაბრუნებით ივანიშვილს პოლიტიკური იმუნიტეტის მოპოვება სურს.

– ივანიშვილმა ღიად დაადასტურა, რომ „ქართულ ოცნებაში“ და ხელისუფლებაში კრიზისი იმაზე უფრო ღრმა და იმაზე უფრო მძიმეა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და ვერანაირი ფერადი ქაღალდებით შეფუთვა ამ კრიზისის, ვერც პარტიას და ვერც ხელისუფლებას ვერ უშველის. თუმცა ივანიშვილს არ უსაუბრია დღეს მთავარზე, თუ რეალურად რატომ დაბრუნდა ისევ პარტიაში. რეალურად მას სურს, პოლიტიკური იმუნიტეტის მიღება, იმუნიტეტის მიღება, რადგან გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა... ივანიშვილს გეგმები აქვს, რომ ხელისუფლება შეინარჩუნოს, თუმცა საქართველოს მოსახლეობას სულ სხვა გეგმები აქვს და ბიძინა ივანიშვილს ქართველი ხალხი და საქართველოს მოსახლეობა პასუხს უახლოეს თვეებში გასცემს, – აცხადებს ზაალ უდუმაშვილი.

ირაკლი კოვზანაძე: „საკრედიტო-საგარანტიო სქემა მცირე მეწარმეებს ფინანსების მოზიდვაში დაეხმარება“

– საკრედიტო-საგარანტიო სქემები მსოფლიოს ბევრ, მათ შორის განვითარებულ ქვეყანაში უკვე აპრობირებულია და მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ფინანსების მოზიდვის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ ეკონომიკის სამინისტროს ახალი რეფორმის პასუხად, რომლის განხორციელებაზე მუშაობა უკვე დაიწყო.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, მცირე და საშუალო ბიზნესს საქართველოში ფინანსების ხელმისაწვდომობის კუთხით მეტი მხარდაჭერა სჭირდება, რაც გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთმა კვლევამ დაადასტურა.

– ფინანსების ნაკლებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებს საქმიანობაში ხელს უშლის. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მათი წილი ეკონომიკაში 60-70%-ს შეადგენს, საქართველოს მშპ-ში კი დაახლოებით 25%-ია, არადა, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესია, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი გენერატორია და, ამავე დროს – ქვეყანაში საშუალო ფენის შემქმნელი, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის აზრით, აღნიშნული მიმართულებით მეწარმეების მხარდაჭერისა და სტიმულირების განსხვავებული მექანიზმები უნდა არსებობდეს.

– საქართველოში ამოქმედდა და წარმატებით მუშაობს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, პროგრამები სოფლის მეურნეობისა და სტარტაპების მხარდაჭერის კუთხით, არის ინიციატივები მცირე საწარმოებისთვის გამარტივებული და განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმის დაწესებისთვის... ვფიქრობ, საკრედიტო-საგარანტიო რეფორმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების, კერძოდ, ფინანსურ რესურსებზე მათი წვდომის ხელშეწყობისთვის, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

– ეს მეთოდი წარმატებით მუშაობს მრავალ ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, წარმატებით იმუშავებს საქართველოშიც. სწორედ ასეთ პრაქტიკულ მხარდაჭერას ელოდება ხელისუფლებისგან მრავალი მცირე მეწარმე და ჩვენი თანამოქალაქე, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

ოთარ ანგურიძე: „ბანკებს არაპროფილური ბიზნესები არ უნდა ჰქონდეთ“

„დღეს ეროვნულ ბანკს პოლიტიკას კომერციული ბანკები კარნახობენ“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალი თაობასთან" ინტერვიუში ფინანსთა მინისტრ მამეჯა ბახტაძის მიერ გახმოვანებული ეკონომიკის სტიმულირებაზე საუბრობს.

– ბატონო ოთარ, ფინანსთა მინისტრი ბახტაძე აცხადებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება კომერციული ბანკების მიერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რატომ არ აფინანსებენ ბანკები ასეთ ბიზნესს?

– დიახ, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის ეკონომიკას, ზოგადად საშუალო ფენა. დღეს ბევრი კვლევა ადასტურებს იმას, რომ ქვეყანაში საშუალო ფენა არ არის იმ დონეზე განვითარებული, როგორც უნდა იყოს. რატომ? ძალიან ბევრი მიზეზის გამო. მათ შორის ერთ-ერთი მიზეზი საბანკო სექტორშია. შესაბამისად, როდესაც ქვეყანაში წამყვანი სფერო საბანკო სექტორია, შეუძლებელია სხვა დარგების განვითარება, რადგან ბანკები მონოპოლისტურ მდგომარეობაში არიან.

ბანკირები ჩვენს ქვეყანაში პარალელურად ფლობენ პროფილურ ბიზნესებს. შესაბამისად, ბიზნესგეგმას თუ წარადგენს მცირე ან საშუალო მეწარმე და დაფინანსებას ანუ სესხს მოითხოვს, თუ ბანკს აქვს იმ პროფილის ბიზნესი, ბუნებრივია, ის მას არ დააფინანსებს, რადგან მასში პოტენციურ კონკურენტს ხედავს. თუ დააფინანსებს, მაშინ – ძალიან ცუდი პირობებით.

ბანკები ქვეყანაში მონოპოლისტურ სიტუაციას ქმნიან და, თუ ეს გარემო არ შეიცვალა, მაშინ ძალიან რთული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. საჭიროა, ქვეყანაში ძირეულად გატარდეს საბანკო რეფორმა.

– კონკრეტულად?

– პირველ რიგში, ეროვნულმა ბანკმა უნდა შეცვალოს თავისი საზედამხედველო პოლიტიკა; უნდა შევიდეს საკანონმდებლო ცვლილებები კომერციული ბანკების შესახებ კანონში; უნდა მოხდეს ეროვნული ბანკის რეალურად, როგორც საზედამხედველო სუბიექტის ფუნქციის მატარებლის ჩამოყალიბება, რომელიც საბანკო გავლენებისგან ნამდვილად დამოუკიდებელი იქნება. დღეს ბანკები კარნახობენ ეროვნულ ბანკს პოლიტიკას, რაც სრულიად დაუშვებელი და მიუღებელია.

– რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს ვითარება შეიცვალოს?

– უნდა დაიგეგმოს ამ მიმართულებით რეფორმა და შემდეგ განხორციელდეს. ეს უნდა იყოს რეალური რეფორმა.

– სიღარიბის დაძლევაზე საუბრობს ფინანსთა მინისტრი. რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამისთვის? მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეა ეს დამოკიდებული?

– პირველ რიგში, მაღალი ტექნოლოგიები უნდა დაინერგოს ქვეყანაში. მეორე, წარმოების განვითარებას უნდა შეეწყოს ხელი და მესამე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, განათლების მიმართულებით უნდა გადაიდგას სერიოზული ნაბიჯები.

განათლების რეფორმა გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვცემს შედეგებს, მოკლევადიან პერსპექტივაში კი სხვადასხვა ფონდის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს, რომლებიც საინვესტიციო ფონდები იქნება და ისინი დააფინანსებენ ისეთ მიმართულებებს, რომლებსაც კომერციული ბანკები საერთოდ არ აფინანსებენ, პრაქტიკულად, სესხს არ გასცემენ.

დღეს ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკას ბანკები განსაზღვრავენ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბანკებს კონკურენტული გარემო შექმნათ. უნდა შეიქმნას ისეთი ფონდები, რომლებიც საინვესტიციო სფეროში კონკურენტულ გარემოს შეუქმნიან ბანკებს.

დღეს ბანკები ფლობენ არაპროფილურ ბიზნესებს, სამშენებლო კომპანიებს, უნივერსიტეტებს. შესაბამისად, მონოპოლიური მდგომარეობა თუ არ აღმოიფხვრება და ბანკები არ ჩამოშორდებიან სხვა ყველანაირ ბიზნესს, გარდა საბანკო სექტორისა, მაშინ ეს ვითარება ასე გაგრძელდება და რეალურად საშუალო ფენის შექმნა ძალიან გაგვიჭირდება.

2019 წლის 1 იანვრიდან 1 და 2-თეთრიანებს დავემშვიდობებით – მოიმატებს თუ არა ფასები?

2019 წლის პირველი იანვრიდან, ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების თანახმად, რომელიც ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა, ახალი რეგულაციები ამოქმედდება. კერძოდ, ნაღდი ანგარიშსწორებისას 1 და 2-თეთრიანების სიზუსტით დაანგარიშების პრინციპი „დამრგვალების მეთოდით“ იცვლება.

ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ ცვლილებათა პაკეტს ამ დროისთვის ფინანსთა სამინისტრო ამზადებს და უახლოეს მომავალში მისი განხილვები საკანონმდებლო ორგანოში დაიწყება. მათივე ინფორმაციით, დაბალი ნომინალის მონეტების მიმოქცევიდან ამოღების ძირითადი მიზეზი დაბალი მსყიდველობითი უნარი და წარმოების მაღალი ხარჯია.

ამასთან, 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტები მიმოქცევაში დალექვის მაღალი დონით გამოირჩევა, რადგან მოსახლეობის მიერ არ ხდება მათი აქტიურად გამოყენება ანგარიშსწორებისას.

– მონეტები გადის და მიმოქცევაში ილექება, რასაც ადასტურებს საქართველოს ეროვნულ ბანკში ამ ნომინალის მონეტების შემოსავალ-გასავლის მაჩვენებლები და, შესაბამისად, დალექვის კოეფიციენტი, რომელიც წლების განმავლობაში იზრდება და ამ პერიოდისათვის 1-თეთრიანი მონეტისათვის 98%-ს, ხოლო 2-თეთრიანი მონეტისათვის 74%-ს შეადგენს, – განმარტავენ ეროვნულ ბანკში.

კითხვაზე, რა გავლენას მოახდენს 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევიდან ამოღება ფასწარმოქმნის სტრუქტურაზე და გამოიწვევს თუ არა იგი ფასების ზრდას, ეროვნულ ბანკში განმარტავენ, რომ დამრგვალების მეთოდი შეეხება ფასების მხოლოდ საერთო ჯამსა და არა ცალკეული პროდუქტების ფასებს, რაც ნიშნავს იმას, რომ არ არის აუცილებელი პროდუქტების ფასების ცვლილება.

ამასთან ფასის დამრგვალება

მოხდება მხოლოდ ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორება განხორციელდება უცვლელად, ერთი თეთრის სიზუსტით, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ზოგადად ცალკეულ პროდუქტსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილებას.

მაგალითად, პროდუქტის ფასი, რომელიც მთავრდება 9 თეთრზე, დარჩება ანალოგიურად, ხოლო რამდენიმე 9-ზე დამთავრებული ფასის მქონე პროდუქტის ყიდვისას მათი საერთო ჯამი დამრგვალდება უახლოეს 0 ან 5 ერთეულამდე. განვიხილოთ რამდენიმე განსხვავებული ფასის მქონე პროდუქტის შეძენა, რომელთა ფასიც არ მთავრდება 0-ზე ან 5-ზე.

ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ იმ ქვეყნების პრაქტიკის გამოცდილების შესწავლამ და დაკვირვებამ, სადაც დამრგვალების მეთოდი უკვე დიდი ხანია მოქმედებს, გვიჩვენა, რომ ნაღდი ანგარიშსწორებისას დამრგვალების მეთოდის გამოყენება ინფლაციას არ იწვევს.

– დამრგვალების სიმეტრიულობიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში ფასი ზრდის მიმართულებით, ზოგ შემთხვევაში კი კლების მიმართულებით შეიცვლება. ურთიერთსაპირისპირო ეფექტი ერთმანეთს დააბალანსებს და საბოლოოდ ინფლაციაზე გავლენა მინიმალური იქნება. ეფექტის სიმცირეს იწვევს ისიც, რომ მხოლოდ შესყიდული პროდუქტების საერთო ჯამი დამრგვალდება და არა თითოეული პროდუქტის. თუმცა თუკი დამრგვალება უფრო მეტად ზრდის მიმართულებით მოხდება, არსებულ მონაცემებსა და შეფასებებზე დაყრდნობით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ინფლაციაზე ერთჯერადი გავლენა მაქსიმუმ 0.1 პროცენტული პუნქტი შეიძლება იყოს, – აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

გაიზრდება თუ არა ფასები 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევიდან ამოღების შემდეგ, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ ეკონომიკის ექსპერტებთან ცადა.

არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ბერძენაძე აცხადებს, რომ აღნიშნული ცვლილება ფასებზე არანაირ გავლენას არ მოახდენს, რადგან ერთ და ორ თეთრს ადამიანებს ძალიან იშვიათად უბრუნებდნენ. მისი განცხადებით, ასეთ დროს თავად კომპანიები ამრგვალებდნენ და ისე ადებდნენ პროდუქციას ფასებს.

– ზოგადად, სავაჭრო ობიექტებში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თანხა დამრგვალებული იყო და ამ 1-2 თეთრის გამოყენება თითქმის არ ხდებოდა. ამიტომ ეს ნაკლებად შეცვლის ფასწარმოქმნას. მეორე საკითხია, ეს საქმე რამდენად არის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ეროვნულმა ბანკმა ამაზე დრო დაკარგოს? – აცხადებს ბერძენაძე.

ეკონომიკის დოქტორი რატი აბულაძე განმარტავს, რომ ინიციატივა, რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, ითვალისწინებს მომხმარებელთან ერთი თეთრის სიზუსტით განხორციელების პრინციპი არსებით გავლენას ვერ ახდენს მოქალაქეების სოციალურ და ეკონომიკურ ყოფაზე, რადგან 1 და 2 თეთრიანები გამოირჩევა დაბალი მსყიდველობითუნარიანობით; მარკეტინგული ეფექტებით; მიმოქცევაში ასრულებს მხოლოდ „ხურდის როლს“. ფაქტობრივად, ამ თანხით საქართველოში ვერაფერს იყიდი.

– დაბოლოს, ანგარიშსწორების პროცესში თანხის დამრგვალების სისტემის ამოქმედება ხელს შეუწყობს უნაღდო ანგარიშსწორების პროცესს, შეამცირებს ჯარიმებს (რადგან კანონით დამრგვალების სისტემის დარღვევი ჯარიმდება) და აღმოფხვრის 1 და 2-თეთრიანი ხურდის ტექნიკურ გაურკვევლობებს, – განმარტავს აბულაძე.

როგორ ხდება დამრგვალება

დამრგვალების მეთოდი გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას რამდენიმე პროდუქტის საერთო ფასი არ მთავრდება 0-ზე ან 5-ზე – (ასეთი შემთხვევებისას კლიენტი ან თვითონ იყენებს 1 და 2-თეთრიან მონეტებს ანგარიშსწორებისას, ან იგივე მონეტები უბრუნდება ხურდაში) – საერთო ფასის დამრგვალება მოხდება უახლოეს 0 ან უახლოეს 5 ერთეულამდე:

1 და 2 თეთრზე დამთავრებული ფასი მრგვალდება დაბლა, ანუ 0-მდე;

3 და 4 თეთრზე დამთავრებული ფასი მრგვალდება მაღლა, ანუ 5-მდე;

6 და 7 თეთრზე დამთავრებული მრგვალდება დაბლა, ანუ 5-მდე;

8 და 9 თეთრზე დამთავრებული ფასი მრგვალდება მაღლა, ანუ 10-მდე.

იმისთვის, რომ დამრგვალების მეთოდი იქნეს გამოყენებული, ორივე მხარე, კლიენტიც და მეწარმე სუბიექტიც, სწორად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი.

ირაკლი იაშვილი: „ზოგიერთ კომერციულ ბანკში პროექტის მიტანა უსაფრთხო არ არის“

ყველა ინდუსტრიაში ბანკებს აქვთ საკუთარი ინტერესები, რაც ბიზნესს ახალი პროექტების განხორციელებაში ხელს უშლის.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილმა განუცხადა.

– ბანკების ნაწილთან მე, როგორც ბიზნესის წარმომადგენელი, ვხედავ ინტერესთა კონფლიქტს. ვერ დავასახელებ, რომელ ბანკებზე მაქვს საუბარი, თუმცა, არიან ისეთი ბანკებიც, სადაც ჩემთვის პროექტის მიტანა არ არის რისკების შემცველი. ეს ინტერესთა კონფლიქტი აშკარაა, – განაცხადა „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ.

არ ვიცი, რომელ მაგიდაზე აღმოჩნდება იგი, არ ვარ დაზღვეული, რომ ბანკი მას არ შეხედავს კონკურენტის თვალით, – აღნიშნა ირაკლი იაშვილმა.

მისივე განცხადებით, ქვეყანაში ბანკებისთვის არაპროფილური აქტივების ფლობა მხოლოდ ფორმალურად არის აკრძალული.

– ფორმალურად არაპროფილური აქტივების ფლობა ნამდვილად აიკრძალა, მაგრამ ჩვენც საქართველოში ვცხოვრობთ და ვიცით, რაც ხდება სინამდვილეში. ყველა სფეროში: მათ შორის ენერგეტიკაში, უძრავ ქონებაში, გადამამუშავებელ სექტორშიც ბანკის გავლით ახალი პროექტის წამოწყება არის რისკების შემცველი. ეს ინტერესთა კონფლიქტი აშკარაა, – განაცხადა „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ.

აშშ-ში სულაც არ არის სავალდებულო, სესხის ასაღებად პირი რამდენიმე ან თუნდაც ერთ სახლს ფლობდეს

– ბანკებს არც უნდა სჭირდებოდეთ ასეთი ჩანაწერი, რადგან თავად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომ გასცენ დაბალრისკიანი სესხები, – ასე აფასებს „კომერსანტთან“ ფინანსისტი თემურ ბასილია ეროვნული ბანკის ახალ დებულებას, რომელის მიხედვითაც, პირი, რომელსაც ერთზე მეტი საცხოვრებელი არ ექნება, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის აღებას ვეღარ შეძლებს.

როგორც ბასილია აღნიშნავს, მთლიანობაში, ძალიან კარგი პროექტია და ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დადებითად შეიძლება შეფასდეს.

– ვინმეს ეპარება ეჭვი, რომ ბანკმა ჯერ უნდა ჩაატაროს მსესხებლისა და თანამსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზი და მხოლოდ ამის შემდეგ, ასეთი ანალიზის საფუძველზე უნდა გასცეს სესხი? როგორ შეიძლება ბანკმა ასეთი ანალიზისა და დასაბუთების გარეშე გასცეს სესხი, – აცხადებს ბასილია.

მისივე განცხადებით, ასევე, კარგი ჩანაწერია, რომ გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზისას და სესხის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას მსესხებელს ჭარბვალიანობის გარეშე უნდა შეეძლოს ჯამური ვალდებულებების მომსახურება.

– შეიძლება ადამიანს მისცე მხოლოდ იმდენი სესხი, რისი დაფარვის შესაძლებლობაც მას აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ადამიანს წირავ ბანკროტობისკენ. ძალიან მომწონს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, მსესხებლის ყოველთვიურ შემოსავლებსა და გასავლებს შორის სხვაობა უნდა აღემატებოდეს საოჯახო მეურნეობის საარსებო მინიმუმს, ანუ სესხის დაფარვის შემდეგ ოჯახს საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ შეიძლება დარჩეს და შიმშილისა და სიღატაკისთვის ნუ გაწირავთო, – აცხადებს ბასილია.

მისივე შეფასებით, სესხების გაცემის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სავალუტო რისკებიც. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც პირებს უცხოურ ვალუტაში ჰქონდათ სესხები აღებული, თუმცა, შემოსავალი ლარში ჰქონდათ. ბასილიას განცხადებით, არაერთი შემთხვევა იყო, როდესაც სავალუტო კურსის ვარდნის გამო ასეთი ადამიანები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

– შესანიშნავი ჩანაწერია, რომ სახელმწიფო პენსიიდან მისაღები შემოსავალი არ შეიძლება გათვალისწინებული იყოს სესხის დაფარვის წყაროდ. სამწუხაროდ, აშშ-შიც კი ძალიან ხშირად სწორედ პენსიონერები ხდებიან ფინანსური მანიპულაციების მსხვერპლნი და ეს ჩანაწერი გარკვეულ დაცვას წარმოადგენს ამ კატეგორიის ადამიანებისთვის.

ასევე მივესალმები სესხის ტრანშებად გაცემის შემთხვევაში, თუ სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ სესხი/კრედიტი გაიცემა ტრანშებად, ყოველი მომდევნო ტრანშის გაცემამდე, სავალდებულო გახდეს წინა ტრანშის მიზნობრიობის შემოწმება.

წარმოიდგინეთ, პირმა აიღო სესხი ბიზნესის საწარმოებლად და რეალურად მან იყიდა ძვირადღირებული ავტომანქანა. რა თქმა უნდა, ვერ დაფარავს ეს პირი სესხს და, ბუნებრივია, მას არათუ მომდევნო ტრანში არ უნდა მისცენ, არამედ, ის გაცემულიც უკან უნდა დააბრუნებინონ, – აცხადებს ბასილია.

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ თუ პირს ერთზე მეტი საცხოვრებელი არ ექნება, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის აღებას ვეღარ შეძლებს, ბასილია ამას პირდაპირ სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას უკავშირებს.

– თუ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია, რომ ნაკლები უსახლკარო ადამიანები ჰყავდეს და სოციალური სამართლიანობის პრინციპიც მეტ-ნაკლებად დაცული იყოს, მაშინ ასეთი ჩანაწერი გასაგები და მისაღებია.

ამავე დროს, აშშ-ში სულაც არ არის სავალდებულო უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის ასაღებად პირი რამდენიმე ან თუნდაც, ერთ სახლს მაინც ფლობდეს. თუ, პირი ფლობს მისი საცხოვრებელი სახლის მხოლოდ ნაწილს, მას ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეუძლია სესხის აღება. კიდევ გავიმეორებ, აქ მთავარია, როგორი სოციალური პოლიტიკის გატარება სურს სახელმწიფოს და არჩევანიც ამის მიხედვით გაკეთდეს, – აცხადებს ბასილია.

მისი შეფასებით, ეროვნული ბანკის ეს დებულება იმდენად კარგია, რომ არ არის გასაკვირი, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებმა დაბლოკონ.

– უფრო მეტიც, ეს არ ჰგავს ეროვნულ ბანკში მომზადებულ დოკუმენტს. ამ მოსაზრებას ისიც აძლიერებს, რომ ეროვნულმა ბანკმა სადისკუსიოდ გამოიტანა ეს პროექტი, მაშინ როდესაც არაერთი საეჭვო გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი ყოველგვარი განხილვის გარეშე. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეროვნულმა ბანკმა ვიღაცის (ამ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის) წინაშე მოიხადა ვალი და თუ, ეს დოკუმენტი არ „გავა“, თავს იმით იმართლებს, რომ ჩვენ რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, მაგრამ საზოგადოებამ (სინამდვილეში ინტერესთა ჯგუფებმა) არ მიიღეს იგი. პირველ რიგში, ჯერჯერობით ეს არის დებულების პროექტი, რომელიც განსახილველად არის გამოტანილი და მისი ამოქმედება მომავალი წლის იანვრიდან იგეგმება, – აცხადებს ბასილია.

როგორც ცნობილია, ზედამხედველობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების გამოქვეყნების ინიციატივის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ დებულების პროექტი შეიმუშავა.

დოკუმენტი ადგენს სესხის გაცემის კრიტერიუმებს, რომელთა შესრულებაც დებულების დამტკიცების შემდეგ, ეროვნული ბანკის რეგულირებისა და ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სესხის გამცემი ყველა ორგანიზაციისათვის სავალდებულო იქნება.

დოკუმენტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს/თანამსესხებელს შემოსავალი არ აქვს და არც მისი გადამხდელუნარიანობის ანალიზია ჩატარებული, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის მიღებას ვერ შეძლებს, თუ მსესხებელს/თანამსესხებელს ერთზე მეტი საცხოვრებელი უძრავი ქონება არ ექნება.

– როდესაც მსესხებელს/თანამსესხებელს არ გააჩნია მიმდინარე შემოსავლები, ან/და სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ მსესხებლის/თანამსესხებლის გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზი არ არის ჩატარებული, უძრავი ქონების უზრუნველყოფით სესხის/კრედიტის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს/თანამსესხებელს საკუთრებაში გააჩნია ერთზე მეტი საცხოვრებელი უძრავი ქონება და ამავდროულად სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთული არ არის მსესხებლის/თანამსესხებლის ის ქონება, რომელიც მის მიერ, როგორც საცხოვრებელი, გამოიყენება, – აღნიშნულია დოკუმენტში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტი სამართლებრივი აქტის მხოლოდ სამუშაო ვერსიას წარმოადგენს, რომელიც საბოლოო რედაქციამდე, განხილვის პროცესში, შეიძლება შინაარსობრივი და ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს დაექვემდებაროს.

მამუკა ბახტაძე: „საბანკო გარანტიის სქემა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომას გააიაფებს“

საბანკო გარანტიის სქემა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომას მნიშვნელოვნად გააიაფებს, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

მისი თქმით, ამ მიმართულებით შესაძლებელია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

– აღნიშნული საბანკო გარანტიის სქემა მცირე და საშუალო ბიზნესს ფინანსებზე წვდომას გაუიაფებს, რადგან კომერციულ ბანკებს რისკს უზღვევს, როდესაც ისინი მცირე და საშუალო ბიზნესს აფინანსებენ. ჩვენ ძალიან პოზიტიური მოლოდინები გვაქვს. თქვენ იცით, რომ ევროკომისიამ დაადასტურა მზადყოფნა, რომ აღნიშნული მექანიზმი გამოიყენოს საქართველოში, ევროპის საინვესტიციო ბანკმა განაცხადა, რომ მზად არიან საქართველოში დაიწყონ აღნიშნული სქემის იმპლემენტაცია და, ვფიქრობ, ეს იქნება მართლაც ახალი ფურცელი ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

როგორც მან აღნიშნა, 14-16 მაისს საქართველოში პირველად იმართება მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს შეხვედრა, რაც ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო ბანკის, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მხრიდან საქართველოს აქვს სრული მხარდაჭერა დაანონსებული და განხორციელებული რეფორმების მიმართ.

ბოლო 1 წელში გამოკითხულთა 1%-ს სახელმწიფო მომსახურებისთვის ქრთამი მოსთხოვეს

ბოლო 12 თვის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ პირთა 1%-ის თქმით, მათ ან მათი ოჯახის წევრებს სახელმწიფო მომსახურებისთვის ქრთამი მოსთხოვეს.

ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გავრცელებულ კვლევის შედეგებშია ნათქვამი.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვეთით, „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ განახორციელა. კვლევის ფარგლებში, რომელიც 2018 წლის 3-28 მარტის პერიოდში ჩატარდა, მთელი საქართველოს მასშტაბით 1 843 ადამიანი გამოიკითხა. გამოკითხვის საშუალო ცდომილება 2,8 პროცენტს შეადგენს.

კვლევა მოიცავდა კითხვებს კორუფციის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი ნდობის, ხელისუფლების ძირითადი შტოებისა და ორგანოების მუშაობის, საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში კითხვაზე – მოუთხოვიათ თუ არა მათგან ან მათი ოჯახის წევრებისგან ქრთამი სახელმწიფო მომსახურებისთვის ბოლო 12 თვეში, გამოკითხულთა 1%-მა „კი“, 99%-მა კი – „არა“ უპასუხა.

დენის, გაზის და წყლის ტარიფები საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ელექტროენერგიის საყოფაცხოვრებო ტარიფი თბილისში 19, 2 თეთრი რეგიონებში კი 18,5 თეთრია.

აღნიშნული სატარიფო პოლიტიკის მიხედვით, საქართველოში დენი უკრაინასთან, აზერბაიჯანსა და რუსეთთან შედარებით ძვირია, ხოლო სომხეთთან, თურქეთთან და მოლდოვასთან შედარებით – იაფი. კერძოდ: ელექტროენერგიის ტარიფი რუსეთში 13.8 თეთრი, აზერბაიჯანში 13.4, უკრაინაში 12..2, თურქეთში 32.5 მოლდოვაში 30.3, სომხეთში კი 24.3 თეთრი ღირს. რეგიონის ქვეყნებს შორის ელექტროენერგია ყველაზე ძვირი – 49,2 თეთრი ლატვიაშია.

რაც შეეხება ბუნებრივი აირის სექტორს, საქართველოში გაზის საყოფაცხოვრებო ტარიფი თბილისში 46.1, ხოლო რეგიონებში, სადაც „საქორგგაზი“ და „სოკარ ჯორჯია გაზი“ ოპერირებს, 56-57 თეთრია.

2017 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, ბუნებრივი აირი რუსეთში – 27.3, აზერბაიჯანში 22.4, სომხეთში 85.9, უკრაინაში 79.3, თურქეთში კი 88. 6 თეთრი ღირს.

სომეკის 2017 წლის ანგარიშში წარმოდგენილ ქვეყნებს შორის გაზის ტარიფი ყველაზე მაღალი 189 თეთრი – ჩეხეთშია.

რაც შეეხება წყალმომარაგების სექტორს, სომეკის ანგარიშში წარმოდგენილ ქვეყნებს შორის წყალი ყველაზე იაფი თბილისში (1მ3-ზე საშუალოდ 0.92 თეთრი), ხოლო ყველაზე ძვირი დანიაშია (1მ3-ზე საშუალოდ 25.8 ლარი). მოცემული საშუალო შეწონილი ტარიფები ასახავს როგორც საყოფაცხოვრებო, ისე არასაყოფაცხოვრებო ტარიფებს.

გოჩა მაჩაიძე: „რა ვქნა, ხმალი ავიღო?“

ცნობილი ფეხბურთელი პარლამენტთან შიმშილობის შემდეგ კლინიკაში გადაიყვანეს

გულიკო ბალაძე

ცნობილი ფეხბურთელი გოჩა მაჩაიძე თბილისში, პარლამენტის შესასვლელთან 12 დღის შიმშილობის შემდეგ, ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს. „ახალი თაობა“ გოჩა მაჩაიძეს მანამდე სწორედ პარლამენტის წინ შეხვდა და გაიგო, ამ სახელოვან ადამიანს შიმშილობა რამ გადააწყვეტინა. გოჩა მაჩაიძე თაღლითური ჯგუფის მსხვერპლი გახდა.

– ბატონო გოჩა, მეთორმეტე დღეა, საქართველოს პარლამენტის შენობასთან შიმშილობთ. რა პრობლემამ მოგიყვანათ პარლამენტის შენობასთან საშიმშილოდ?

– პრობლემა სერიოზულია. უკვე 70 წელს მიღწეული კაცი ვარ, მაგრამ ეს ნაბიჯი მაინც გადავდგი. ნორმალური ადამიანი ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს, თუ სერიოზული მიზეზი არ აქვს.

– რა სერიოზული მიზეზი გაქვთ პარლამენტთან საშიმშილოდ?

– წლების წინ, სამშენებლო ბიზნესს მოვკიდე ხელი. ბინის მეპატრონეებმა კორპუსის აშენება შემომთავაზეს და სპორტის სასახლის მიმდებარედ მიროტაძის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლი ავაშენე. სესხის აღება დამჭირდა, რომელიც „სვის კაპიტალისგან“ ავიღე. 2012 წელს „სვის კაპიტალთან“ გამირთულდა სიტუაცია. ამიტომ გარკვეული მიზეზების გამო, გადავწყვიტე, ფულის მსესხებელი შემეცვალა და მევახშესთან გადავსულიყავი (ამ საქმეზე პროკურატურამ გამოძიება ჩაატარა).

მე ვტრიალებ იმ წრეში, სადაც ბიზნესმენებიც არიან, მშენებლებიც. მათ მოჰკრეს ყური, რომ „სვის კაპიტალიდან“ მოვდიოდი და მინდოდა იმ ადამიანებისაგან ფულის სესხება, რომლებიც სესხის გასესხებაზე მუშაობენ. ერთმა ქალბატონმა მითხრა, ნინო გინტურის ოფისში მელოდებოდნენ და ფულის სესხებაზე შემეძლო დალაპარაკება. ასე მოვხვდი ნოტარიუს ნინო გინტურთან. მას ვუთხარი, „სვის კაპიტალის“ ვალი გადამიფარეთ და თქვენთან ვიქნები-მეთქი.

– „სვის კაპიტალის“ ვალი რამდენი გქონდათ?

– 810 ათასი დოლარი. 12-სართულიანი შენობაა და გაანგარიშებით ამ თანხის დაფარვა შესაძლებელი იყო. ვალს ერთიანად კი არ მაძლევდნენ, არამედ ეტაპობრივად.

– საიდან უნდა ჰქონოდა ნოტარიუსს ამდენი თანხა?

– ნოტარიუსმა ნინო გინტურმა და ია იაშვილმა შუამავლის როლი იკისრეს. მითხრეს, არსებობს ასეთი პიროვნება, წარმოშობით ირანელი, ინგლისის მოქალაქე შახრამ შამილ რაჯაბი და მისგან შეგიძლიათ ფულის სესხებაო. ნინო გინტურმა მითხრა, შახრამთან კარგი დამოკიდებულება მაქვს, ჩემი კლიენტია, შემიძლია მასთან მივიდე და თქვენთვის საჭირო თანხა მოგიტანოო. შევთანხმდით პირობებზე. საშუამავლო უნდა გადამეხადა 6% (რომელიც შეადგენდა 120 ათას დოლარს). კარგი დამოკიდებულება გვქონდა. თამაშ-თამაშით ბოლოს შუამავლობისთვის 6%-ის მაგივრად 14% გამომიყვანეს.

ჩემი ნდობა რომ მოეპოვებინა, ია იაშვილმა ჩემი ნათესავი მიხსენა, ჩემი დაქალიაო. მგონი, საქართველოშია ასეთი ცხოვრება, ხშირად ადამიანები გიყვარს, პატივს სცემ, ნათესავიცაა, მაგრამ შეიძლება 3-5 წელი გავიდეს და არ ნახო.

მე 2006 წელს 16 წლის ვაჟიშვილი გარდამეცვალა. მანამდე, 1984 წელს, ასევე გარდამეცვალა ვაჟიშვილი (ასეთი ბედი გამომყვა). როგორი შესაგუებელია, მაგრამ ჩემი დიდი ტკივილებით ვცხოვრობ და ჩემს გაჭირვებას არავის თავს არ ვახვევ.

– თქვენს ვაჟიშვილებს რა მოუვიდათ?

– პირველი ერთ წლამდე ასაკის იყო, ვირუსი შეეყარა და გარდაიცვალა. მეორე ნაავადმყოფარი იყო, დასუსტებული, მაგრამ მაინც ივარჯიშა, ვეღარ გაუძლო და დაიღუპა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ხშირად სუფრაზე მიხდებოდა ყოფნა. შემდეგ მოვერიდე სუფრებს, რადგან ვხედავდი, ჩემთან იძაბებოდნენ (ლხინის სუფრაზე ცეკვა-თამაშია, მხიარულება), ტრაგედიები რომ მაქვს გადატანილი. ტკივილს თავს ხომ არ მოვახვევდი. დიდი მოქეიფე არც არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ დავანებე თავი სუფრებს და ჩემი ცხოვრებით დავიწყე ცხოვრება.

გინტურმა და იაშვილმა ეს ყველაფერი იცოდნენ. მათთან გამაგზავნა ერთმა ქალბატონმა, რომელიც სესხებზე მუშაობდა. ნინო გინტურს მანამდეც ვიცნობდი, მშენებლობისთვის რა საბუთებიც მჭირდებოდა, მასთან ვაკეთებდი. შევთანხმდით, შახრამ შამილ რაჯაბთან მიშუამავლებდნენ.

– რა გააკეთეს?

– აბსოლუტურად შინაურ ატმოსფეროში ვგრძნობდი თავს. ხან რა თემაზე ვლაპარაკობდით, ხან რაზე. ძირითადი თემა თანხის მოპოვება იყო, კორპუსის მშენებლობა რომ არ გაჩერებულიყო. შემომთავაზეს, ამხელა კაცმა წინ და უკან რომ არ იაროთ, გთავაზობთ პირს, რომელიც თქვენს საქმეებს გააკეთებს, ჩვენი ნდობა ხომ გაქვთო.

– ვინც შემოგთავაზეს, იცნობდით?

– შემომთავაზეს გია თავაძე, რომელიც ია იაშვილის ნათესავი გამოდგა. მოდით, სუფთა ქართულად ვთქვათ, ვიფიქრე, ამ ადამიანებმა იციან ჩემი ცხოვრება, ჩემი წარსული, ჩემი ტრაგედიები და ყველაფერი, კარგი დამოკიდებულება გვაქვს-მეთქი და გია თავაძეს სრული ნდობა გამოვუცხადე. მან დაიწყო მუშაობა.

– იპოთეკაში რა შესთავაზეთ?

– „სვის კაპიტალში“ სესხის სანაცვლოდ ჩემი აშენებული კორპუსი დავტვირთე იპოთეკით. კორპუსი თითქმის დამთავრებული იყო. ეს სესხი აქეთ გადმოვიტანე.

– 800 ათასი დოლარი კორპუსის შიდა სამუშაოების ჩასატარებლად გჭირდებოდათ?

– დიახ. „სვის კაპიტალში“ სიტუაცია რომ გამირთულდა, აქეთ წამოვედი, იმაზე უკეთეს პირობებს ვეძებდი, ვიდრე მქონდა „სვის კაპიტალში“. იპოთეკურ სესხზე ხელშეკრულების გაფორმებამდე, ცოტა ხნით ადრე მითხრეს (ამ დროს ეს მთავრობა ახალი მოსულია), ბატონი გოჩა, მთავრობა შეიცვალა. ჭორის დონეზე გამოვიდა ინფორმაცია, ახალი მთავრობა არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენებს ფულის გამსესხებლებს, დიდ გადასახადს დაუწესებს (ამ მომენტით ისარგებლეს). შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ჩვეულებრივ გადაიხდი სესხს, აქ ეწერება ყიდვა-გაყიდვაო. ნინო გინტურს ვკითხე, ბინების გაყიდვის უფლება ხომ მექნება-მეთქი. მათ დამიდასტურეს, რომ ბინების თანდათან გაყიდვის უფლება მექნებოდა.

– გითხრეს, რომ დოკუმენტით თქვენ მიერ აშენებულ კორპუსში ბინების გაყიდვის უფლება გექნებოდათ?

– დიახ. ნასესხები მქონდა 810 ათასი დოლარი. ეს თანხა ხომ უნდა დამებრუნებინა. 17 ბინა მაქვს გასაყიდი. თანდათანობით გავყიდდი ბინებს და სესხი ასე დაიფარებოდა. როცა სესხი განულდება, რაც დარჩება, ის ბინები ჩემი საკუთრება იქნება.

– მაგრამ თქვენ გქონდათ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებული.

– დიახ. სესხის გამცემთან შუამავალი დადიოდა. მე შახრამს დამოუკიდებლად ვერ ვხვდებოდი, რადგან ინგლისური არ ვიცი, მან კი – ქართული. თანაც ხან ირანში იყო წასული, ხან – ინგლისში. მასთან შუამავალი დადიოდა. როცა სესხის დაფარვის დრო მოვიდა, მითხრეს, იქნებ დიდი ფული შევაგროვოთ და რომ ჩამოვა, გადავცეთო. ძალიან დიდი შრომა გავწიე, 600 ათასი დოლარი შევაგროვე, შახნამთან წავედი და ადვოკატისა და თარჯიმნის საშუალებით დაველაპარაკე.

შახნამს ვუთხარი, რომ 600 ათასი დოლარი მოვიტანე და შესაბამისი თანხა მომიხსენი-მეთქი. შახნამმა მითხრა, რა 600 ათასი, 3 მილიონი უნდა მომიტანოთო. გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა. თურმე მე გაბმული ვარ 3 მილიონიან ვალში.

– თქვენ სხვისი ვალები მოგაწერეს?

– რაკი მათთან ერთად ვიყავი და მათთან სოლიდარული გახლდით, ვალები მომაწერეს. სხვადასხვა ქონების მეპატრონეები იყვნენ. მათი ქონებებიც ჩაიდო, რაც მთლიანობაში 3 მილიონს შეადგენდა. შახნამი ითხოვს, გაყიდეთ ყველა ქონება და 3 მილიონი მომიტანეთო. თურმე ამ ადამიანს თავის სახელზე მათგან გადაფორმებული აქვს ქონებები, მაგრამ მე მაინც მეუბნება, 3 მილიონი მომიტანეო.

ეს შახნამმა სასამართლოზე დაადასტურა. სასამართლომდე კი მეუბნებოდა, ეს ქონება ჩემიაო, მე კიდევ ბინების გამოხსნა მინდოდა, ადამიანებს სართულები შევურჩიე და შესასვლელად ემზადებოდნენ. გამოდის, რომ მე ისინი მოვატყუე. თუმცა, ფული უკან დავუბრუნე. იმ ხალხთან მაინც შევრცხვი – ფული მოიზიდეს, იწვალეს, რომ მე ვალი გადამეხადა, მაგრამ ბინები ვეღარ მივყიდე.

– თქვენი ბინა ექსპლუატაციაში შევიდა?

– კორპუსში 40 ბინაა და მცხოვრებლების გარკვეული რაოდენობა შესახლდა – მიწის მეპატრონეები. იქ ბანკის ქონებაც იყო. მე 18 ბინა მაქვს თავისი კომერციულიანად, რაც იპოთეკით მაქვს დატვირთული. ამაზე ვლაპარაკობ.

– სასამართლო დავა ირანელთან გაქვთ თუ ხელშეკრულების გამფორმებელთან?

– ორივესთან. შახნამიდან წამოვედი და მივედი ნინო გინტურთან და ვეუბნები, ქალბატონო ნინო, შახნამს 600 ათასი მივუტანე, 3 მილიონს მთხოვს და რა 3 მილიონზეა ლაპარაკი-მეთქი. ეს ქალი გამოვიდა ვესტიბიულში, სადაც ბევრი ხალხია, გაშალა ხელი, მომაშორეთ ეს კაცი, ლატარიაში ხომ არ მოვიგეო. იქამდე სულ ბატონი გოჩა ვიყავი.

ვიზეც გადაფორმებული აქვს ბინა, ის მეტანჯავს-წვალებაში ორი წელი გავიდა. კიდევ სამი წელია, გრძელდება სასამართლო დავა.



– შახნამმა გაასაჩივრა?

– შახნამს საქმე აღარ გაუსაჩივრებია, დაეთანხმა. ახლა სასამართლო პროცესები უნდა გაიმართოს ნინო გინტურის და ია იაშვილის წინააღმდეგ.

– ჩემთან საუბარში თქვენ სხვა გვარებიც ახსენეთ, მაგალითად, კეზერაშვილი და სააკაშვილი.

– სააკაშვილი ცალკე თემაა, სააკაშვილთან ამ თემას არ განვიხილავ. ყოველ შემთხვევაში, მათ პატრონები ჰყავთ. ისინი სააკაშვილის დროიდან ჩარჩენილი რომ არიან პროკურატურაში, ძალოვან სტრუქტურებში საკმაოდ ბევრი რაოდენობით, წამყვან თანამდებობებზე მუშაობენ, მგონი, სახელმწიფო საიდუმლოს არ ვამბობ. ისინი ხელს მიშლიან და თაღლითებს მხარს უჭერენ. თანამშრომლები იყვნენ, მეგობრები, ერთად ყავას სვამენ თუ ღვინოს, ერთი წრეა. მე კი ვარ კაცი, რომელიც ჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობს იმ ჩემი ტრაგედიებიდან გამომდინარე და საზოგადოებაში არ ვარ გამოსული. არა იმიტომ, რომ საზოგადოებამ გამრიყა, არამედ მე თვითონ გავდექი. ისე ამეწყო ცხოვრება, რომ ჩაკეტილი ცხოვრება ვარჩიე. ახლა ისინი ამით მჯობნიან.

– ანუ ახლა სასამართლო პროცესი მიმდინარეობს გინტურსა და თქვენ შორის. საქმე რომელ ინსტანციაში განიხილება?

– სამი წელი მტანჯავენ. ის ორი წელი დამჭირდა პირველ საქმეზე, რომ სიმართლე დამტკიცებულიყო. გინტურთან დავა პირველ ინსტანციაშია. ჯერ არ დამთავრებულა. სამი წელია გრძელდება.

– პრობლემა რა არის, პროცესი არ ინიშნება?

– პროცესი ინიშნება, მაგრამ რომ მივალთ, სხვადასხვა მიზეზების გამო მუდმივად ხდება გადავადება. აგვისტოში მეტყვიან, მთელი სასამართლო ისვენებსო. წამოვალ. კიდევ რამდენიმე თვეში რაღაც მიზეზებს მოიმიზეზებენ, მოვა ახალი წელი და ასე გადის დრო. ასე გამიწელავენ უსასრულოდ.

– რას მოითხოვთ?

– დამნაშავეების დაჭერასა და დასჯას ვითხოვ. მათ ძალიან დამტანჯეს. ვფიქრობ, შახნამ შამილ რაჯაბი გვერდზე გაწიეს. ისეთი სურათია დახატული, თითქოს მოხდა სამსახურებრივი გადაცდომა, თითქოს გინტურს რაღაც შეეშალა. შეიძლება გინტური და იაშვილი რაღაცნაირად დასაჯონ.

– რამდენი გაზარალეს?

– ასტრონომიულ ციფრებზე ავდივარ (სამი წელი გაჩერებული ვიყავი). იმ კორპუსის აშენებაში ჩემი პირადი თანხა, 150 ათას დოლარამდე დავხარჯე. ეს ჩემთვის ასტრონომიული ციფრია. სადაც ამჟამად ვცხოვრობ (სიდედრის ბინა), ისიც იპოთეკაში ჩავდე. მეგობრების ვალიც ავიღე, სამი წელი რომ მეცხოვრა.

– სასამართლო პროცესის დასრულება თქვენ რას მოგიტანთ?

– დავდექი საშინელი სინამდვილის წინაშე. გინტურმა და იაშვილმა მოასწრეს და პირადი ქონებები სხვის სახელზე გადააფორმეს. შახნან შამილ რაჯაბი და მისი აღმასრულებელი მდივანიც გვერდზე გაიწიენ (ეს სცენარია დადგმული), შეიძლება მითხრან, სასამართლომ ხომ გაგამართლათ, პროკურატურამ დაზარალებულის ცნობა მოგცათ, ფული გეკუთვნის, მაგრამ ვერასოდეს მიიღებთ. ასე დგას საკითხი. მოვითხოვ ამ თაღლითური ჯგუფის დაპატიმრებას. თუ სამართალმა არ გაიმარჯვა, დგება საშინელი სინამდვილე.

– მათი დაპატიმრება რას მოგცემთ?

– შახნამ შამილ რაჯაბი და გინტური რომ დადგებიან ციხის კარებზე, მერე იქნება შეთანხმება და თანხას გადამიხდიან.

– რამდენი უნდა გადაგიხადონ?

– არ ვიცი, ამას სასამართლო იტყვის. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო.

– სარჩელით ითხოვთ ზიანის ანაზღაურებას?

– ძალიან სერიოზული თანხა უნდა იყოს. როცა პროკურატურამ მცნო დაზარალებულად, იქ 604 ათასი ჩაწერა. მაინტერესებს, სასამართლო რას იტყვის. არ მინდა ჩემი ცხოვრება პარლამენტის შესასვლელთან დავამთავრო. ახლა ძალიან რთულ მდგომარეობაში ვარ. იმ სახლიდან, ფაქტობრივად, მაგდებენ. ის ფული, სიდედრის ბინის იპოთეკით რომ ავიღე, ამ საქმისთვის დავხარჯე. ვალი ასტრონომიულად იზრდება. რა ვქნა, ხმალი ავიღო და ვიღაცის წინააღმდეგ გავილაშქრო? სამართალს ვეძებ.

სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ. უნდა მრცხვენოდეს ამის გაკეთება, მაგრამ არ დამიტოვეს სხვა გზა. ჩემი ყველაზე დიდი სპორტული მონაპოვარი ვერცხლის, ოქროსა და ბრინჯაოს მედლები ლომბარდში ჩავაბარე, რადგან მათ არსებობის ყველანაირი საშუალება მომისპეს. შახნამთან კიდევ სამოქალაქო დავა მაქვს. ის რაღაცას ითხოვს, მე კიდევ პირიქით, აქეთ ვითხოვ თანხას. ამ კაცმა დამაზარალა. შახნამს ჩემგან 600 ათასი დოლარი რომ მიეღო, ფაქტობრივად, ვალი აღარ მრჩებოდა. ხაფანგი დამიგეს, რომ რაც შეიძლება მეტი ქონება წაერთმიათ.

– სასამართლომაც გაგამართლათ და პროკურატურამაც, საქმის დასრულებას წინ რა უდგას?

– კანონში რომ ჩავხედე, მათთვის სასჯელის ის ნორმა, რაც კანონით არის გათვალისწინებული (სამი წელი), ცხელ ამინდში გრილ აუზში ბანაობაა. მე ვითხოვ სასჯელის დამძიმებას. როცა ამ პირებს სისხლის სამართლის წესით დასჯიან, მერე სასამართლოში გავასაჩივრებ და ზარალის ანაზღაურებას მოვითხოვ. ქონებებს ყველა ხომ ვერ გადამიმალავს. იძულებული იქნებიან გამოაჩინონ.

– მოსამართლე ვინ არის?

– მოსამართლე გიორგი დარახველიძეა. მოვითხოვ, აღდგეს სამართლიანობა და ეს ადამიანები სათანადოდ დაისაჯონ. მათ გამო სიბერე გამიმწარდა.

– თქვენ შეხვედრები გქონდათ ხელისუფლების წარმომადგენლებთან. რა გითხრეს?

– ქალაქის მერიაში დამიბარეს და ყველაფერი მოვახსენე. უშუალოდ კალაძეს არ შეეხვედრივარ. აქ პარლამენტიდან სოფო კილაძემ გამოაგზავნა წარმომადგენელი და მასაც მოვუყევი. 7 დღის შიმშილობის შემდეგ, სახალხო დამცველის ოფისიდან დამირეკეს, თურმე შიმშილობთ და წერილი შემოიტანეთო. იქ სად ვიარო? ასეთი ვითარებაა. მოვითხოვ სამართლიანობის აღდგენას.

2018, 12 — 13 მაისი, №111

პუტინმა პრეზიდენტობა 2030 წლამდე განიზრახა?

რუსეთის აგრესია ბალტიის ზღვაზე გაძლიერდა

მარიამ მჭედლიშვილი

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პარლამენტმა ერთხმად მოიწონა რუსეთის კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები, რომლის მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტად ყოფნა პირს მესამე ვადითაც შეუძლია.

ავტონომიაში დამტკიცებული კანონპროექტი განსახილველად სახელმწიფო დუმას, ასევე ქვეყნის მთავრობასა და უზენაეს სასამართლოს გაეგზავნა. მისი მიღების შემთხვევაში პუტინი თავის საპრეზიდენტო ვადას 2024 წელს არ დაამთავრებს. იგი კიდევ მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას და პოსტს 2030 წლამდე შეინარჩუნებს.

ეს ინიციატივა ჩეჩნეთის საკანონმდებლო ორგანოში არ მომწიფდებოდა. როგორც ჩანს, პუტინმა პრეზიდენტობა 2030 წლამდე განიზრახა. ამაში მას ხელს შეუწყობს ჩამოყალიბებული სისტემა. სახელისუფლებო ელიტაში პუტინმა შეიყვანა სანდო პირები. ისინი არიან უშიშროების ორგანოების, ძალოვანი სტრუქტურების მუშაკები, ლიბერალი ეკონომისტები, ეკლესიის წარმომადგენლები, ოლიგარქები.

ითვლება, რომ ამ ელიტის წევრები კულისებში იბრძვიან გავლენისა და პუტინის კეთილგანწყობისათვის. მთავარ გადაწყვეტილებებს პუტინი კრემლში იღებს. არცერთ საკითხზე დისკუსიები, მათ შორის, პარლამენტში, მიღებული არ არის. ვინც დისკუსიის წამოწყებას ბედავს, ირიცხება დამკვიდრებული სისტემიდან.

არაერთი მარცხის მიუხედავად, კრემლი არ წყვეტს აგრესიას, მათ შორის, ევროპაში.

ევროპაში რუსეთის ძალადობრივ მოქმედებებზე საუბრობს ესტონეთის თავდაცვის მინისტრი იური ლუიკი.

მისი თქმით, რუსეთი ცდილობს, განდევნოს ნატოს გემები ბალტიის ზღვიდან. იმ დროს, როცა ზღვაზე წვრთნებს ატარებენ ესტონეთი, ასევე აშშ ნატოს პარტნიორებთან – ფინეთთან და შვედეთთან ერთად, რუსული ავიაცია მათ გემებს ზევიდან და გვერდიდან უახლოვდება.

– ეს მიმდინარეობს საერთაშორისო წყლებში. ის, რაც ხდება, ზღვაოსნობის წესების კარგი ტონის დარღვევაა, – ამბობს ესტონეთის მინისტრი.

მისი სიტყვებით, მოსკოვის მიერ შემუშავებული ჯარების გადაადგილების ახალი სისტემის თანახმად, უკრაინასთან მყოფი ჯარი ხვალ შეიძლება ბალტიისპირეთის სახელმწიფოების საზღვართან აღმოჩნდეს.

– რუსეთი ახორციელებს რეგიონის აქტიურ შეიარაღებას. ეს ხდება ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ეს მოწმობს აგრესიის ზრდას რეგიონში, – ამბობს ესტონეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი.

უკრაინის თავდაცვის მინისტრი სტეპან პოლტორაკი აცხადებს, რომ რუსეთს ამჟამად არ გააჩნია შეიარაღებული დაჯგუფება უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ღია ომის წარმოებისათვის, თუმცა, აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გააძლიეროს სამხედრო რესურსი დასავლეთი და სამხრეთი სამხედრო ოლქების ძალებით.

უკრაინის თავდაცვის მინისტრის სიტყვებით, რუსეთს დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ორი ტერორისტული შეიარაღებული კორპუსი ჰყავს. გარდა ამისა, უკრაინის საზღვართან მობილიზებულია 80-ათასიანი პირადი შემადგენლობა, 900 ტანკი და სხვა სახის ტექნიკა და შეიარაღება. კრემლმა განაახლა სამი არმია. ამ ნაწილების ამოცანა ცივი ომის დროს ევროპაში დაძაბულობის შექმნა იყო.

რუსეთის შეიარაღებული ძალები ამ ეტაპზე არც ისე ძლიერი და მოდერნიზებულია. პუტინის გეგმებშია არმიის ახალ სიმაღლეებზე აყვანა. მონარქად გადაქცეულ პუტინს სხვა იდეებიც აწუხებს. მოახერხებს თუ არა იგი თავისი ზრახვების შესრულებას, დიდწილად დასავლეთზეა დამოკიდებული.

პაშინიანმა პოლიციისა და უშიშროების ახალი უფროსები დანიშნა

სომხეთის პრემიერმა პაშინიანმა პოლიციისა და უშიშროების ახალი უფროსების ვინაობა დაასახელა. პრეზიდენტმა სარქისიანმა ამ ხალხის დანიშვნას ხელი უყოყმანოდ მოაწერა.

სომხეთის უშიშროებას ამიერიდან არტურ ვანეციანი უხელმძღვანელებს. აქამდე ის უშიშროების ერევნის სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო. პოლიციას კი სათავეში ჩაუდგება ოსიპიანი, რომელიც მანამდე ერევნის პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილე იყო.

– ახალი დანიშვნები აუცილებელია, რათა კორუფციას ვებრძოლოთ, – თქვა პაშინიანმა.

ტრამპი და კიმ ჩენ ინი ერთმანეთს სინგაპურში შეხვდებიან

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ დადგენილია ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინთან შეხვედრის თარიღი.

შეხვედრა შედგება 12 ივნისს სინგაპურში.

– მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ჩრდილოეთ კორეა აუცილებლად განიარაღდება.

კიმთან მომავალი შეხვედრის შესახებ ტრამპი იაპონიის პრემიერ აბეს ესაუბრა.

აშშ-ის პრეზიდენტმა და იაპონიის პრემიერმა კვლავ განაცხადეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება დაუშვებელია. ჩრდილოეთ კორეამაც ბირთვული გამოცდები აუცილებლად უნდა შეწყვიტოს.

– ჩვენ ამას მივაღწევთ! – თქვა ტრამპმა.

აბემ აშშ-ის პრეზიდენტს ასეთი პრინციპული პოზიციისთვის მადლობა გადაუხადა. იაპონიის პრემიერმა აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღების საქმეში მისი პოზიცია ვაშინგტონისას მთლიანად ემთხვევა.

– ამ საქმეში ამერიკას მხარს ვუჭერთ, – თქვა აბემ.

პეტრო პოროშენკო მერკელსა და მაკრონს შეხვდა

გერმანიის ქალაქ ააჰენში მერკელი, პოროშენკო და მაკრონი შეიკრიბნენ. საუბრის ძირითადი თემა დონბასში შექმნილი მდგომარეობა იყო. მერკელმა და მაკრონმა ხაზი გაუსვეს, რომ მიუხედავად ატო-ს დასრულებისა, მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ გააჩნია.

– ეს მშვიდობის აღდგენის უმთავრესი პირობაა, – ასეთია გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერთა პოზიცია.

პრესკონფერენციაზე ანგელა მერკელმა შენიშნა, რომ მინსკის პროცესი ჩაიშალა და ეს რუსეთის გამო მოხდა. მერკელმა მოსკოვისადმი სანქციების გაგრძელებას მხარი დაუჭირა. მან თქვა, რომ ახალი სანქციების შემოღებაც კარგი იქნებოდა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, მხარს უჭერთ თუ არა დონბასში გაერო-ს სამშვიდობოების ჩაყენებას, კანცლერმა მიუგო:

– რასაკვირველია!

უკრაინისადმი მხარდაჭერა მაკრონმაც დააფიქსირა. მინსკის შეთანხმებების საბოტაჟი მან ბრალად ასევე რუსეთს დასდო. ახალი სანქციების შემოღებასაც მხარი დაუჭირა.

პეტრო პოროშენკომ თავის ევროპელ კოლეგებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

– იმედია, საერთო ძალისხმევით ვაიძულებთ რუსეთს, დესტრუქციულ ქმედებებზე უარი განაცხადოს, – თქვა უკრაინის ლიდერმა.

აშშ-მ ირანს ახალ სანქციები დაუწესა

დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ირანთან დადებული ბირთვული შეთანხმებიდან გასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყანასთან დიალოგი არ სურს. ტრამპმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შეთანხმება ამერიკის ინტერესებს არ შეესაბამება.

– ჩვენ ირანთან ახალი ბირთვული შეთანხმების მიღწევა გვსურს, ისეთის, რომელიც ირანის მიერ ბირთვული იარაღის დამზადებას გამორიცხავს, – თქვა ტრამპმა.

ირანზე ზეწოლაც გრძელდება. აშშ-მ ამ ქვეყნის მიმართ ახალი სანქციები შემოიღო. ეს სანქციები „ირანის რევოლუციის გუშაგის“ წინააღმდეგ არის მიმართული.

– სანქციები იმ პირებზე გავრცელდა, რომლებმაც ამ ორგანიზაციას მილიონობით დოლარი გადაურიცხეს, რათა მას მავნებელური მოღვაწეობა განეგრძო, – აცხადებს აშშ-ის ფინანსთა მინისტრი მნუჩინი.

ავღანეთში „თალიბანის“ თავდასხმის შედეგად პოლიციის 42 თანამშრომელი დაიღუპა

ავღანეთის დასავლეთ ნაწილში „თალიბანის“ თავდასხმების შედეგად პოლიციის 42 თანამშრომელი დაიღუპა.

თალიბები ღამით დაესხნენ თავს პოლიციის განყოფილებას და რამდენიმე საკონტროლო-გამშვებ პუნქტს.

შეტაკებების ადგილზე სამთავრობო ძალები იყო გაგზავნილი.

ორბანს რუსეთთან მეგობრობა სურს

უნგრეთის პარლამენტმა ვიქტორ ორბანი კვლავ პრემიერად აირჩია.

უნგრეთის პრემიერი რუსეთთან დაახლოების მომხრეა. ის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს დაუკავშირდა. არავინ იცის, თუ რაზე ისაუბრეს. ფაქტია მხოლოდ ის, რომ ამ საუბრის შემდეგ ორბანის ანტიუკრაინული გამოხდომები გაიზარდა.

– უკრაინელები იმიერკარპატისპირეთში ჩვენს თანამემამულეებს ჩაგრავენ! ისეთ ქვეყანას, როგორიცაა უკრაინა, არც ევროკავშირში და არც ნატოში არაფერი ესაქმება! – თქვა ორბანმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, “პახმელიის“,ზაპოის“, აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენერეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის

სტატისტიკა, ფსონები

ჩემპიონატები დასასრულს უახლოვდება. თითქმის ყველგან ჩემპიონი გარკვეულია, მაგრამ ბრძოლა მიმდინარეობს ევროსაგზურებისა და ელიტაში დარჩენისთვის. ამიტომ საინტერესო უიქენდი გველოდება.

ინგლისი

13.05 ბარნლი-ბორნმუთი	2.2	3.3	3.3
13.05 კრ.პალასი-ვესტ ბრომვიჩი	1.83	3.75	4.0
13.05 ჰადერსფილდი-არსენალი	5.5	4.0	1.61
13.05 ლივერპული-ბრაიტონი	1.17	7.0	15.0
13.05 მანჩესტერი-უოტფორდი	1.25	5.5	13.0
13.05 ნიუკასლი-ჩელსი	5.5	3.75	1.61
13.05 საუთჰემპტონი-სიტი	7.0	4.33	1.44
13.05 სუონსი-სტოკი	1.91	3.5	4.0
13.05 ტოტენჰემი-ლესტერი	1.25	6.5	13.0
13.05 ვესტ ჰემი-ევერტონი	2.4	3.4	2.9

ბარნლი-ბორნმუთი

ბარნლი: *ტრავმ*-სკოტ არფილდი, ბენ მი, სტივ დეფო, რობი ბრეიდი

ბორნმუთი: *ტრავმ*-ჰარი არტერი, ჯუნიორ სტანისლასი, ადამ სმიტი

კრ.პალასი-ვესტ ბრომვიჩი

კრ.პალასი: *ტრავმ*-ბაკარი საკო, ჯეისონ პუნჩეონი, სკოტ დანი

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-გარეთ ბერი, ჯეიმს მორისონი

ჰადერსფილდი-არსენალი

ჰადერსფილდი: *ტრავმ*-ელიას კაჩუნგა, მაიკლ ჰეფელე

არსენალი: *ტრავმ*-ლორენ კოშიელნი, მოჰამედ ელნინი

ლივერპული-ბრაიტონი

ლივერპული: *ტრავმ*-ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ჯოელ მატიპი, ადამ ლალანა, ემრე ჯანი

ბრაიტონი: *ტრავმ*-არავინ

მანჩესტერი-უოტფორდი

მანჩესტერი: *ტრავმ*-რომელუ ლუკაკუ

უოტფორდი: *ტრავმ*-სტეფანო ოკაკა, ტომ კლეველრი, იუნის კაბული, ნათან ჩალობა

ნიუკასლი-ჩელსი

ნიუკასლი:*ტრავმ*-კრისტიან ატსუ

ჩელსი: *ტრავმ*-დანი დრინკვოტერი, დავიდ ლუიზი

საუთჰემპტონი-სიტი

საუთჰემპტონი: *ტრავმ*-სტივენ დევისი

სიტი: *ტრავმ*-სერხიო აგუერო, ჯონ სტოუნზი

სუონსი-სტოკი

სუონსი: *ტრავმ*-ლეროი ფერი, ვილფრედ ბონი

სტოკი: *ტრავმ*-ბრუნო მარტინს ინდი, კონსტანტინოს სტაფილიდისი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი

ტოტენჰემი-ლესტერი

ტოტენჰემი: *ტრავმ*-ჰარი ვინკსი

ლესტერი: *ტრავმ*-შინჯი ოკაზაკი, კასპერ შმეიხელი, ვინსენტ იბორა, მეტ ჯეიმსი

ვესტ ჰემი-ევერტონი

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-მაიკლ ანტონიო, ჯეიმს კოლინზი, უინსტონ რიდი, პედრო ობიანგი

ევერტონი:*ტრავმ*-მეისონ ჰოლგეიტი, გილფი სიგურდსონი, ელაქუიმ მანგალა

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	37	31	4	2	105-27	97
2.მანჩესტერი	36	24	5	7	67-28	77
3.ტოტენჰემი	37	22	8	7	69-32	74
4.ლივერპული	37	20	12	5	80-38	72
5.ჩელსი	37	21	7	9	62-35	70
6.არსენალი	37	18	6	13	73-51	60
7.ბარნლი	37	14	12	11	35-37	54
8.ევერტონი	37	13	10	14	43-55	49
9.ლესტერი	37	12	11	14	52-55	47
10.ნიუკასლი	37	11	8	18	36-47	41
11.კრ.პალასი	37	10	11	16	43-55	41
12.ბორნმუთი	37	10	11	16	43-60	41
13.უოტფორდი	37	11	8	18	44-63	41
14.ბრაიტონი	37	9	13	15	34-50	40
15.ვესტ ჰემი	36	9	11	16	45-67	38
16.ჰადერსფილდი	37	9	10	18	28-57	37
17.საუთჰემპტონი	37	7	15	15	37-55	36
18.სუონსი	37	8	9	20	27-54	33
19.ვესტ ბრომვიჩი	37	6	13	18	31-54	31
20.სტოკი	37	6	12	19	33-67	30

ესპანეთი

12.05 სოსიედადი-ლეგანესი	1.44	4.33	7.5
12.05 ხირონა-ვალენსია	2.75	3.5	2.4
12.05 ეიბარი-ლას პალმასი	1.44	4.4	7.0
12.05 ხეტაფე-ატლეტიკო	2.3	3.0	3.4
12.05 ალავესი-ბილბაო	2.5	3.2	2.87
12.05 ბეტისი-სევილია	2.6	3.75	2.45
12.05 დეპორტივო-ვილიარეალი	3.4	3.6	2.05
12.05 რეალი-სელტა	1.36	5.5	7.0
13.05 ესპანიოლი-მალაგა	1.67	3.5	5.5
13.05 ლევანტე-ბარსელონა	8.0	5.5	1.33

სოსიედადი-ლეგანესი

სოსიედადი:*ტრავმ*-არიც ელისტუნდო, იმანოლ აგირეჩე, ხაბი პრიეტო

ლეგანესი: *ტრავმ*-ალექსანდერ შიმანოვსკი

ხირონა-ვალენსია

ხირონა: *ტრავმ*-არავინ

ვალენსია: *ტრავმ*-არავინ

ეიბარი-ლას პალმასი

ეიბარი: *ტრავმ*-ანაიც არბილია, სერხი ენრიჩი

ლას პალმასი: *ტრავმ*-მომო ფიგეროა, გაბრიელ პენალბა

ხეტაფე-ატლეტიკო

ხეტაფე: *ტრავმ*-დამიან სუარესი, ლოიკ რემი, მიკელ ბერგარა, მაურო არამბარი

ატლეტიკო: *ტრავმ*-დიეგო კოსტა

ალავესი-ბილბაო

ალავესი: *ტრავმ*-რუბენ დუარტე, ალვარო მედრანი, კარლოს ვიგარაი

ბილბაო: *ტრავმ*-მიკელ ბალენზიაგა

ბეტისი-სევილია

ბეტისი: *ტრავმ*-ზუჰარ ფედალი

სევილია: *ტრავმ*-არავინ

დეპორტივო-ვილიარეალი

დეპორტივო: *ტრავმ*-სიდნეი, ენეკო ბოვედა

ვილიარეალი: *ტრავმ*-რამირო გუერა

რეალი-სელტა

რეალი:*ტრავმ*-დანი კარვახალი

სელტა: *ტრავმ*-ემრე მორი, ფაკუნდო რონკალია, ნემანია რადოია, იაგო ასპასი

ესპანიოლი-მალაგა

ესპანიოლი: *ტრავმ*-პაბლო პიატი

მალაგა: *ტრავმ*-ჩორი კასტრო, ფედერიკო რიკა, რეკიო, ადალბერტო პენარანდა

ლევანტე-ბარსელონა

ლევანტე: *ტრავმ*-ჩეიკ დაკური, ტონო, რაული, ივან ლოპესი

ბარსელონა: *ტრავმ*-არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	36	27	9	0	94-24	90
2.ატლეტიკო	36	22	9	5	55-20	75
3.რეალი	36	21	9	6	86-42	72
4.ვალენსია	36	20	7	9	62-37	67
5.ბეტისი	36	18	5	13	56-56	59
6.ვილიარეალი	36	17	6	13	51-46	57
7.სევილია	36	16	6	14	46-56	54
8.ხეტაფე	36	14	10	12	41-32	52
9.ხირონა	36	13	9	14	48-57	48
10.ეიბარი	36	13	8	15	41-48	47
11.სოსიედადი	36	13	7	16	63-56	46
12.სელტა	36	12	10	14	55-52	46
13.ალავესი	36	14	2	20	37-48	44
14.ბილბაო	36	10	13	13	40-45	43
15.ესპანიოლი	36	10	13	13	31-41	43
16.ლევანტე	36	10	13	13	37-50	43
17.ლეგანესი	36	11	7	18	29-46	40
18.დეპორტივო	36	6	11	19	35-70	29
19.ლას პალმასი	36	5	7	24	23-71	22
20.მალაგა	36	5	5	26	23-56	20

გერმანია

12.05 ბაიერნი-შტუტგარტი	1.2	7.0	12.0
12.05 ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი	2.25	4.0	2.7
12.05 ჰერტა-ლაიპციგი	3.8	4.0	1.83
12.05 ფრაიბურგი-აუგსბურგი	1.95	3.6	3.75
12.05 შალკე-აინტრახტი	2.4	3.6	2.75
12.05 ლევერკუზენი-ჰანოვერი	1.2	7.0	12.0
12.05 ჰამბურგი-გლადბახი	2.3	3.6	2.87
12.05 მაინცი-ვერდერი	2.3	3.75	2.8
12.05 ვოლფსბურგი-კიოლნი	1.67	4.2	4.5

ბაიერნი-შტუტგარტი

ბაიერნი: *ტრავმ*-არეინ რობენი, ჟერომ ბოატენგი, არტურო ვიდალი, კინგსკი კომანი

შტუტგარტი: *ტრავმ*-ანდრეას ბეკი

ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი

ჰოფენჰაიმი: *ტრავმ*-სერჟ გნაბრი, კერიმ დემირბეი, შტეფან პოში, დენის გაიგერი

დორტმუნდი: *ტრავმ*-მიშუ ბაშუაი

ჰერტა-ლაიპციგი

ჰერტა: *ტრავმ*-არნე მაიერი

ლაიპციგი: *ტრავმ*-მარსელ საბიტერი, მარსელ ჰალშტენბერგი

ფრაიბურგი-აუგსბურგი

ფრაიბურგი: *ტრავმ*-ფლორიან ნიდერლეჰნერი, იორიკ რავე, ამირ არბაში

აუგსბურგი: *ტრავმ*-ჯა-ჩეოლ კოო, რაფაელ ფლამბერგერი, დანიელ ოპარე

შალკე-აინტრახტი

შალკე:*ტრავმ*-მაქს მეიერი, ბრეელ ემბოლო, მატია ნასტასიჩი

აინტრახტი: *ტრავმ*-არავინ

ლევერკუზენი-ჰანოვერი

ლევერკუზენი:*ტრავმ*-ჯოელ პოჯანპალო, ჯონათან ტა

ჰანოვერი: *ტრავმ*-მანუელ შმიდებახი, ჯონატასი, ვალდემარ ანტონი, ფილიპე, ჩარლისონ ბენშოპი

ჰამბურგი-გლადბახი

ჰამბურგი: *ტრავმ*-სვენ შიპლოკი, მერჯიმ მავრაი, უოლოსი

გლადბახი: *ტრავმ*-ლასლო ბენეში, ლარს სტინდი, ფაბიან ჯონსონი, რაულ ბობადილა, ჯულიო ვიბალა

მაინცი-ვერდერი

მაინცი: *ტრავმ*-ემილ ბერგრენი, დანი ლატცა

ვერდერი: *ტრავმ*-არონ იოჰანსონი, ნიკლას მოისანდერი, ფინ ბარტელსი

ვოლფსბურგი-კიოლნი

ვოლფსბურგი: *ტრავმ*-მარსელ ტისერანდი, ვიქტორ ოსიმენი, იგნასიო კამაჩო, ლუკა იტერი, ადმირ მეჰმედი

კიოლნი: *ტრავმ*-პაველ ოლკოვსკი, მატიას ლემანი

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	33	27	3	3	91-24	84
2.შალკე	33	17	9	7	52-37	60
3.დორტმუნდი	33	15	10	8	63-44	55
4.ჰოფენჰაიმი	33	14	10	9	63-47	52
5.ლევერკუზენი	33	14	10	9	55-42	52
6.ლაიპციგი	33	14	8	11	51-51	50
7.აინტრახტი	33	14	7	12	45-44	49
8.შტუტგარტი	33	14	6	13	32-35	48
9.გლადბახი	33	13	8	12	46-50	47
10.ჰერტა	33	10	13	10	41-40	43
11.აუგსბურგი	33	10	11	12	43-44	41
12.ვერდერი	33	9	12	12	35-39	39
13.ჰანოვერი	33	10	9	14	42-51	39
14.მაინცი	33	9	9	15	37-50	36
15.ფრაიბურგი	33	7	12	14	30-56	33
16.ვოლფსბურგი	33	5	15	13	32-47	30
17.ჰამბურგი	33	7	7	19	27-52	28
18.კიოლნი	33	5	7	21	34-66	22

იტალია

12.05 ბენევენტო-ჯენოა	2.75	3.5	2.4
12.05 ინტერი-სასუოლო	1.17	7.0	17.0
13.05 ფიორენტინა-კალიარი	1.53	4.2	6.0
13.05 ბოლონია-კიევო	3.1	3.0	2.45
13.05 კროტონე-ლაციო	4.0	3.75	1.85
13.05 ტორინო-სპალი	2.3	3.4	3.0
13.05 ვერონა-უდინეზე	5.5	4.2	1.55
13.05 ატალანტა-მილანი	1.91	3.5	4.0
13.05 რომა-იუვენტუსი	2.37	3.0	3.2
13.05 სამპდორია-ნაპოლი	4.5	4.2	1.67

ბენევენტო-ჯენოა

ბენევენტო: *ტრავმ*-მარკო დალესანდრო, ანდრეა კსოტა, გილერმე, ლუკა ანტეი

ჯენოა: *ტრავმ*-სტეფანე ომეონგა, ფრანჩესკო მილიორე, ნიკოლას სპოლი, არმანდო იზზო

ინტერი-სასუოლო

ინტერი: *ტრავმ*-რობერტო გალიარდინი

სასუოლო: *ტრავმ*-პოლ ლიროლა, ედუარდო კოლდანგა

ფიორენტინა-კალიარი

ფიორენტინა: *ტრავმ*-ვიქტორ უგო, სიმონე ლო ფასო

კალიარი: *ტრავმ*-სენა მენგუე, ფაბიო პისანე, ფილიპო რომანა

ბოლონია-კიევო

ბოლონია: *ტრავმ*-მატია დესტრო, ფილიპ ჰელანდერი, გოტფრიდ დონსა

კიევო:*ტრავმ*-ფაბიო დეპაოლი, რიკარდო მეჯორინი, მასიმო გობი, მეჰდი ლერისი

კროტონე-ლაციო

კროტონე: *ტრავმ*-აჰმად ბენალი, ანტე ბუდიმირი

ლაციო: *ტრავმ*-შტეფან რადუ, ჩირო იმობილე, მარკო პაროლო

ტორინო-სპალი

ტორინო:*ტრავმ*-ჯოელ ობი, ლიანჩო

სპალი: *ტრავმ*-საული ვაისანენი, ფედერიკო ვივიანი, მანუელ ლაზარი, ალექს მერე, მარკო ბორიელო

ვერონა-უდინეზე

ვერონა: *ტრავმ*-მატია ვალოტი

უდინეზე: *ტრავმ*-გაბრიელ ანგელა

ატალანტა-მილანი

ატალანტა: *ტრავმ*-მატია კალდარა, ლუკა რიცო, ლეონარდო სპინაზოლა

მილანი: *ტრავმ*-ლუკას ბილია, ანდრეა კონტი

რომა-იუვენტუსი

რომა: *ტრავმ*-კევინ სტროოტმანი, დიეგო პეროტი, გრეგუარ დეფრე

იუვენტუსი: *ტრავმ*-მარიო მანჯუკიჩი, ჯორჯო კიელინი, მატია დე შილიო, სტეფანო სტურარო

სამპდორია-ნაპოლი

სამპდორია: *ტრავმ*-რიკარდო ალვარესი, ნიკოლა მურუ

ნაპოლი: *ტრავმ*-არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	36	29	4	3	84-23	91
2.ნაპოლი	36	26	7	3	73-28	85
3.რომა	36	22	7	7	60-28	73
4.ლაციო	36	21	8	7	85-44	71
5.ინტერი	36	19	12	5	62-26	69
6.მილანი	36	17	9	10	50-40	60
7.ატალანტა	36	16	11	9	56-37	59
8.ფიორენტინა	36	16	9	11	53-40	57
9.სამპდორია	36	16	6	14	55-55	54
10.ტორინო	36	11	15	10	50-44	48
11.ჯენოა	36	11	8	17	32-40	41
12.სასუოლო	36	10	10	16	27-57	40
13.ბოლონია	36	11	6	19	39-49	39
14.სპალი	36	7	14	15	35-56	35
15.კიევო	36	8	10	18	33-58	34
16.კროტონე	36	9	7	20	37-62	34
17.უდინეზე	36	10	4	22	46-63	34
18.კალიარი	36	9	6	21	31-61	33
19.ვერონა	36	7	4	25	29-75	25
20.ბენევენტო	36	5	3	28	32-83	18

საფრანგეთი

12.05 ამიენი-მეცი	2.0	3.5	3.6
12.05 ანჟე-ნანტი	2.25	3.25	3.25
12.05 ბორდო-ტულუზა	1.85	3.75	4.0
12.05 ლილი-დიჟონი	1.55	4.33	5.5
12.05 მონაკო-სტ.ეტიენი	1.67	4.0	4.75
12.05 მონპელიე-ტრუა	1.75	3.6	4.75
12.05 ნიცა-კაენი	1.67	3.8	5.0
12.05 პსჟ-რენი	1.25	6.5	9.5
12.05 სტრასბური-ლიონი	5.5	4.75	1.5

ამიენი-მეცი

ამიენი: *ტრავმ*-არავინ

მეცი: *ტრავმ*-მილან ბიშევაჩი, ჯერონიმო პობლეტე, იანიკ ჟუფრე, ტომას დიდილონი, აბლი იალოუ

ანჟე-ნანტი

ანჟე:*ტრავმ*-ჯეფ ადელაიდე, ანჯელო ფულინი, ლიოკ პუიო, ბილი კეტკეოპომპონე

ნანტი: *ტრავმ*-ანდრე გიროტო, ალექსანდერ კაჩანიკლიჩი, რენე კრინი, დიეგო კარლოს

ბორდო-ტულუზა

ბორდო: *ტრავმ*-ალექსანდერ მენდი, ჯერომ პრიორი

ტულუზა: *ტრავმ*-არავინ

ლილი-დიჟონი

ლილი: *ტრავმ*-იბრაჰიმ ამადუ

დიჟონი: *ტრავმ*-ვესლი საიდი, ფედერიკ სამარტანო, სედრიკ ვარო, ხეკა, ბენჯამინ ჟანო, ვესლი ლაუტოა, ჯულიო ტავარეში, მეჰდი აბეიდი

მონაკო-სტ.ეტიენი

მონაკო: *ტრავმ*-რაშიდ გეზალი, ჯიბრილ სიბიდე, სტევან იოვეტიჩი, კეიტა ბალდე, ადამა ტრაორე

სტ.ეტიენი: *ტრავმ*-ოსამა ტანანე, ვინსენტ პაიო, ლიოკ პერინი

მონპელიე-ტრუა

მონპელიე: *ტრავმ*-რუბენ აგილარი

ტრუა: *ტრავმ*-მეტი დეპლანე, ტრისტან დინომე

ნიცა-კაენი

ნიცა: *ტრავმ*-კრისტოფ ჟალე

კაენი: *ტრავმ*-ადამა მბენგუე

პსჟ-რენი

პსჟ: *ტრავმ*-ჯულიან დრექსლერი, ტიაგო სილვა, მარკო ვერატი, ნეიმარი

რენი: *ტრავმ*-ბრანდონ ლამასი, ჰამარი ტრაორე

სტრასბური-ლიონი

სტრასბური: *ტრავმ*-კენი ლანა, მარტინ ტერი

ლიონი: *ტრავმ*-არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	36	29	5	2	108-27	92
2.ლიონი	36	22	9	5	82-38	75
3.მონაკო	36	22	8	6	81-45	74
4.მარსელი	36	21	10	5	75-43	73
5.რენი	36	15	9	12	47-43	54
6.სტ.ეტიენი	36	14	10	12	42-49	52
7.ნიცა	36	14	9	13	47-48	51
8.მონპელიე	36	11	16	9	34-31	49
9.ბორდო	36	14	7	15	45-46	49
10.ნანტი	36	12	10	14	33-41	46
11.გენგამი	36	12	10	14	44-54	46
12.დიჟონი	36	12	9	15	52-70	45
13.ამიენი	36	11	9	16	34-40	42
14.ანჟე	36	9	14	13	41-48	41
15.კაენი	36	10	7	19	26-48	37
16.ლილი	36	9	8	19	39-61	35
17.სტრასბური	36	8	11	17	41-64	35
18.ტულუზა	36	8	10	18	34-49	34
19.ტრუა	36	9	5	22	31-55	32
20.მეცი	36	6	8	22	34-70	26

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბერა მიხეილ სააკაშვილს პასუხობს

ბერა ივანიშვილის და ზაზა ნოზაძის დუეტს „ჩემო ძმაო“ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოეხმაურა და რეპერებს ნამუშევარი დაუწუნა.

მიხელ სააკაშვილის შეფასებას ბერა გამოეხმაურა:

– ჩვენს ქვეყანას მუსიკის (კერძოდ, ჰიპ-ჰოპის დარგში) კიდევ ერთი ექსპერტი მოევლინა. მართალია, ის კლიპსა და სუბტიტრულ სიმღერას ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს მაგრამ, მერე რა?!

ჩემს სულიერებაშიც დიდი ეჭვი შეიტანა ოდესღაც ეკლესიების დამრბევმა და რწმენაზე მოქილიკემ, ესეც შევუნდოთ!

მე კარგად მესმის, რამდენად რთულია, აუხსნა სმენის არმქონე ადამიანს, რას ნიშნავს სიჩუმე, ან უთხრა უსინათლოს, როგორია სიბნელე. ამიტომაც ამ კაცს და მის თანამოაზრეებს არაფერს ავუხსნი, თუმცა ის ისეთ თემას შეეხო, რომ ვალდებული ვარ, საზოგადოებას ჩემი დამოკიდებულება განვუმარტო.

ჩემს ოჯახს ბევრი ახალი ეკლესიის მშენებლობაში აქვს მონაწილეობა მიღებული, ასევე ასობით ძველი ეკლესია-მონასტერი აქვს აღდგენილი. მთელი ჩვენი ოჯახი მართლმადიდებლურ რელიგიაზე დაფუძნებული ღირებულებებით ცხოვრობს და, ამასთანავე, უდიდესი პატივისცემით ექცევა ყოველი ადამიანის მრწამსს.

ასე რომ, მხოლოდ ისღა დამრჩენია, ამ ადამიანს თავისივე მხარდამჭერების სიტყვებით მივმართო: მიჰა ჰამოდი! მიჰა მართლა ჰამოდი! რას გვატყუებ ჰემო ზმაო?!

დათა თავაძე ბელგიაში ლექციებს წაიკითხავს

რეჟისორი დათა თავაძე ბელგიის ქალაქ ლიეჟში ლექციებს წაიკითხავს.

დათა თავაძე:

– მანამდე კი ლიეჟში, რომელიც ევროპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ძველ ფესტივალს მასპინძლობს, სამეფო უბნის თეატრი თავის ორ სპექტაკლს წარმოადგენს მომავალ წელს.

ლიეჟის კონსერვატორია კი განთქმულია თავისი სამსახიობო ფაკულტეტით, მათი სწავლის სრულიად უნიკალური, ლამის რევოლუციური მეთოდით. ჰოდა, რა გასახარია, რომ მთელი ფესტივალის მანძილზე, მე გავუძღვები კლასს მათ სტუდენტებთან.

სოფო ბათილაშვილი: „ვფიქრობდი, რომ კამერული ტიპი ვიყავი, მაგრამ ამოტრიალდა ჩემი მოსაზრებები“

მხოლოდ ქართულის 18 წლის კონკურსანტმა სოფო ბათილაშვილმა ქალაქური მელოდიების ტურში ნამდვილი ფურორი მოახდინა. მის მიერ შესრულებული სიმღერით „იაგუნდი“ არა მარტო ჟიური და დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანდა, არამედ მთელი საქართველო.

სოფოს სიმღერა ჟიურიმ უმაღლესი ქულებით შეაფასა და 50 ქულა დაუწერა, ვიდეოჩანაწერს კი ინტერნეტში ათასობით გაზიარება აქვს.

სოფო ბათილაშვილი:

– ბოლო დროს, რაც უფრო მეტად ვპოულობდი საკუთარ თავს მუსიკაში, სულ უფრო და უფრო მეტად ვფიქრობდი, რომ მე კამერული ტიპი ვიყავი – მისმენს ცოტა, მიცნობს ცოტა... ამოტრიალდა ჩემი მოსაზრებები, როცა მაჩვენეს ეს №1 ტრენდინგობის ამბავი. რა შეიძლება ვთქვა, გაოცებული ვარ. მადლიერი ვარ, გული სისხლით და ტვინი სიყვარულით სავსეა. გკოცნით და გიკრავთ გულში! სად წავიღო ეს სიყვარული?! ქრისტი შუშაძეე, კიდევ ერთხელ გეტყვი – მიყვარხარ! მაგარი გოგო ხარ. ოთო კვალიაშვილო – სიხარულით სავსე, კიდევ 5-ჯერ 21 წელი მომელოცოს! ქრისტინე ჯაფარიძეე – მაკლდი. ზვიად ბოლქვაძეს, ნუკრი კაპანაძეს, მთელს ბენდს მადლობა გამოცდილების გაზიარებისა თუ მონიჭებული სიამოვნებისთვის. პროექტის სხვა მონაწილეებს, ჟიურის, დარბაზს, მსმენელს, ახლობლებს თუ უცნობებს... გმადლობთ!

– რომელია თქვენი საყვარელი ქართული სიმღერა?

– საყვარელი ქართული სიმღერა არ მაქვს ჯერჯერობით.

– როგორია თქვენი პროექტში მოსვლის ისტორია?

– კონკურსებში მონაწილეობის საკითხი გვერდზე მქონდა გადადებული. უნივერსიტეტში პირველი კურსის მშვიდად დახურვა მინდოდა, თან ქართულად არ ვმღეროდი. შესაბამისად, ამ პროექტზე არც მიფიქრია, არც ვიცოდი თუ იწყებოდა. ერთხელ ვოკალის პედაგოგმა, ანა ჭუმბურიძემ, მითხრა, რომ იწყებოდა პროექტი „მხოლოდ ქართული“'და მირჩია მონაწილეობის მიღება. ვიფიქრე, რა მინდოდა ამ პროექტში, რადგან ქართულად არ ვმღეროდი და თან თავდაჯერებულობითაც არ გამოვირჩევი.

სახლში რომ მივედი, გავეცანი ინფორმაციას და გავიგე, ვინ იმუშავებდა პროექტზე. შევიტყვე ჟიურის წევრების და მუსიკალური ხელმძღვანელის ზვიად ბოლქვაძის შესახებ. ამის შემდეგ სურვილი გამიჩნდა მათთან ურთიერთობის, მათი აზრების მოსმენის. ბევრი ვიყოყმანე და კასტინგის წინა ღამეს გადავწყვიტე პროექტში მონაწილეობა.

– რა მოლოდინი და ემოცია გაქვთ პროექტთან დაკავშირებით?

– მინდა გავარკვიო, ვინ ვარ მუსიკალურად, ვიმღერო ის, რაც გულში და ფიქრებში მაქვს.

– რას ეტყვით მსმენელს, რითი ხართ გამორჩეული?

– არ ვიცი რითი ვარ გამორჩეული, ცვალებადი ადამიანი ვარ. მიყვარს ადამიანები, მუსიკა და გარემო, რომელშიც ვცხოვრობ.

– სიმღერასთან ერთად რა არის თქვენი ჰობი?

– ვწერ მელოდიას და ტექსტებს, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

„ირიაო“ ევროვიზიის ფინალში ვერ გადავიდა

საქართველოს წარმომადგენელი ევროვიზია 2018-ზე ეთნო-ჯაზ ბენდი „ირიაო“ კონკურსს მეორე ნახევარფინალიდან გამოეთიშა და ფინალისტთა შორის ვერ მოხვდა. ქართველმა მომღერლებმა „ალტის არენაზე“ შეასრულეს სიმღერა „შენი გულისთვის“, რომლის ავტორიც დავით მალაზონიაა.

„ირიაოს“ გამოსვლა საერთაშორისო ჟიურიმ შეაფასა და ქულები დაწერა. ხმის მიცემა ანონიმური იყო და ნახევარფინალური შოუს შემდეგ მაყურებლის ქულებთან დაჯამდა.

„ევროვიზია 2018“-ის მეორე ნახევარფინალში 18-მა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა და მათგან ფინალში მხოლოდ 10 ქვეყანა გადავიდა.

ნორვეგია, რუმინეთი, სერბეთი, სან მარინო, დანია, საქართველო, რუსეთი, მოლდოვა, ნიდერლანდები, ავსტრალია, პოლონეთი, მალტა, უნგრეთი, ლატვია, შვედეთი, მონტენეგრო, სლოვენია და უკრაინა – ამ ქვეყნების კონკურსანტებმა იმღერეს ევროპელი მსმენელისთვის და რჩეულთა შორის მოსახვედრად ყველაფერი გააკეთეს.

მეორე ნახევარფინალიდან ფინალში მოხვდნენ: სერბეთი, მოლდოვა, უნგრეთი, უკრაინა, შვედეთი, ავსტრალია, ნორვეგია, დანია, სლოვენია, ნიდერლანდები.

პირველი ნახევარფინალი 8 მაისს გაიმართა. 19 ქვეყნის ალბანეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ბელგიის, ბულგარეთის, ჩეხეთის, ესტონეთის, ისლანდიის, ისრაელის, ლიტვის, სომხეთის, ავსტრიის, ხორვატიის, კვიპროსის, ფინეთის, მაკედონიის, საბერძნეთის, ირლანდიისა და შვეიცარიის კონკურსანტებიდან ფინალში გადავიდნენ – ავსტრია, ესტონეთი, კვიპროსი, ლიტვა, ისრაელი, ჩეხეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, ფინეთი და ირლანდია.

წელს ევროფესტივალში 43 ქვეყანა მონაწილეობს. აქედან ხუთი ქვეყნის – დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის კონკურსანტები, ისევე, როგორც მასპინძელი პორტუგალია, საკუთარ ქვეყანას ფინალურ ეტაპზე წარადგენენ.

ევროვიზია 2018-ის ფინალი 12 მაისს გაიმართება. ფინალში ხმის მიცემა შეუძლია 43-ვე ქვეყანას, რომელიც ევროვიზიაში მონაწილეობს.

ანრი ჯოხაძე, მომღერალი:

– წლევანდელი ევროვიზია 2018-ის გამარჯვებისთვის ისრაელი და ნორვეგია დაგლეჯენ ერთურთს და 2019 გაიმართება ისრაელში. შალომ!

გელა გურალია, მომღერალი:

– მთელი სულით და გულით ვგულშემატკივრობ ხოლმე საქართველოს ევროვიზიაზე. თუ ქართულად მღერით, გაგვაგებინეთ სიტყვები. ვერაფერი ვერ გავიგე. არადა ქართული ჩემი მშობლიური ენაა.

ნიკა გვარამია, „რუსთავი 2-ის“ დირექტორი:

– უთავბოლო, უდასაწყისო და დაუბოლოებელი სიმღერა და გაურკვეველ სტილში მომღერალი ჰამლეტ გონაშვილის სამი უმდარესი პაროდია, სცენაზე რომ კუბიკრუბიკებივით გადაადგილდებოდნენ. ევროვიზიაზე ამ მუსიკალურ ნაგავს ვინც აგზავნის სისტემატურად, უბრალოდ ქვეყანას ერჩის.

გელა გნოლიძე, მომღერალი:

– ევროვიზიამ იი-რაო ? ასეთი რეაქცია ჰქონდათ! პ.ს. სანამ მაგ ამბავს რეალურად ვინც თანამედროვე მუსიკაში ერკვევა, ის არ უხელმძღვანელებს, ასე იქნება! აქვე ვიტყვი, რომ ბიჭები ძალიან კარგად მღერიან და კომპოზიციაც ლამაზი და მართლა კარგია, მაგრამ არანაირი საერთო არ ჰქონდა ამ სპეციფიკურ კონკურსთან!

ვანიკო გალუაშვილი, მომღერალი:

– ძალიან გამიტყდა, რომ ირიაო ვერ გავიდა ევროვიზიის ფინალში. ძალიან ვგულშემატკივრობდი მიშოს და დანარჩენ ბიჭებს. მაგრამ, მოვისმინე ეს სიმღერა, არ მქონდა აქამდე მოსმენილი. პირველივე აკორდებიდან ნათელი იყო, რომ ვერ გავიდოდა ეს სიმღერა. ბიჭებს კიდევ მინდა ვთხოვო, რომ იმღერონ ის სტილი, რაშიც ძალიან მაგრები არიან და ძალიან გთხოვთ, დაიმუშავეთ ხმები. არ შეიძლება ესე ჩქარი ვიბრაციით აკანკალებული ხმით, დეტონაციებით გამოსვლა. დაიმუშავეთ ხმები ყველამ, მომღერლებმა. ეცით მაყურებელს და თქვენ თავს პატივი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 მაისისათვის

ვერძი – დღის პირველი ნახევარი წინააღმდეგობრივია. დიდია სტრესის მიღების ალბათობა. საღამოს სიტუაცია გამოსწორდება. **კურო** – ზომიერება დაიცავით. ერიდეთ ზედმეტ ხარჯებს. ნებისმიერი საქმე დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ შრომა დაგიფასდებათ. **ტყუპები** – რთული პერიოდია. სიფრთხილე საქმეს გაგიფუჭებთ. კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. **კირჩხიბი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. თქვენს გონიერებასა და შორსმჭვრეტელობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. **ლომი** – საქმიანი ურთიერთობები დიდ ენერგიას გართმევთ. ეცადეთ, გარშემომყოფების ყურადღება არ მიიპყროთ. **ქალწული** – ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გეძაბებათ. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. თავმდაბლად იმუშავეთ. **სასწორი** – თუ არ იაქტიურებთ, მიზანს ვერ მიაღწევთ. ისწავლეთ და იშრომეთ. **ღრიანკალი** – მზად იყავით როგორც სასიხარულო, ისე – არასასიამოვნო სიურპრიზებისთვის. მეტი მოქნილობა გმართებთ. **მშვილდოსანი** – იოლად არავის მიენდოთ. ნებისმიერი ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. ნუ იჯიუტებთ. **თხის რქა** – აქტიურად დაისვენეთ, ოღონდ მას შემდეგ, რაც ყველა საქმეს დაამთავრებთ. ახალი ნაცნობობა იმედს გაგიცრუებთ. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა საკუთარი თავის დასამკვიდრებლად. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. მიზნისკენ თამამად იარეთ. **თევზები** – მოულოდნელი ცვლილებების გამო შესაძლოა ახალი, თქვენთვის სრულიად უცნობი საქმის დაწყება მოგიხდეთ. ბედი გწყალობთ.

13 მაისისათვის

ვერძი – არაკეთილისმყოფელი დღეა. შეუკავებელი აგრესია უსიამოვნებას შეგამთხვევთ. თქვენი მხოლოდ უახლოეს მეგობარს ესმის. **კურო** – პარტნიორული ურთიერთობების წრე ფართოვდება. ერიდეთ უსარგებლო კამათს. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი შესაფერისია კომერციული საქმიანობისათვის. გამორიცხული არ არის, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **კირჩხიბი** – სამსახურში შექმნილი პრობლემები გაგაღიზიანებთ. კონცენტრაცია მხოლოდ მთავარზე გააკეთეთ. **ლომი** – ნებისმიერი ნაბიჯი სათანადო ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადადგით. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან. **ქალწული** – დღეს ბევრი წინააღმდეგობა შეგხვდებათ. ახლო მეგობართან ურთიერთობა დაგამშვიდებთ. **სასწორი** – სამუშაო და საზრუნავი გემატებათ. ნუ დაიბნევით, საქმე თანმიმდევრობით აკეთეთ, დაიწყეთ რთულით. **ღრიანკალი** – იმედგაცრუებული ხართ, თუმცა საღამოს მოვლენები თქვენ სასიკეთოდ წარიმართება. **მშვილდოსანი** – ჭორები უგულებელყავით. ფეხის ხმას ნუ აჰყვებით. საქმე ისე აკეთეთ, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ. **თხის რქა** – გეჩვენებათ, რომ მთელი სამყარო გებრძვით. ეს ილუზიაა. დასვენება გჭირდებათ. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა როგორც კარიერული, ისე პირადი ხასიათის ცვლილებებისათვის. გავლენიანი ადამიანი გმფარველობთ. **თევზები** – საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. დროა, დაშვებული შეცდომები სათანადოდ გააანალიზოთ და გამოასწოროთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. გარეული მტრედი; 2. ცხვრის ხორცისგან მომზადებული აზერბაიჯანული წვნიანი კერძი; 3. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 4. ნელტემპიანი სამეჯლისო ცეკვა; 5. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 8. ფილიპინების ყველაზე დიდი კუნძული; 9. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 12. დაღესტნელთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 16. კოლხეთის მითოლოგიური მეფე.

თარაზულად: 1. საღებავი ნივთიერება, რომელიც მწვანე ფერს აძლევს მცენარის ფოთლებს; 6. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 7. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის არსებული ისტორიული მხარე საქართველოში; 9. რძის პროდუქტი; 10. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 11. მარმარილოს ნატეხებისგან ან ფერადი კენჭებისგან შექმნილი ნახატი, ან ორნამენტი; 13. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 15. ბალეტ „დონ კიხოტის“ პერსონაჟი; 17. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 20. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით გრიგოლ კილაძის მუსიკაზე შექმნილი ქართული ბალეტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თურინჯი; 2. ბორისფენი; 3. ფორსინგი; 4. ნეიმარი; 5. ფაველა; 9. პრიორი; 11. მარტენი; 12. ხოჯავა; 14. ღერღილი; 18. ოხორი; 19. „მწვანე“.

თარაზულად: 4. ნადუღი; 5. ფიტოფაგი; 6. ტოლჩა; 7. ქიშმიში; 8. პიკაპი; 10. ასთმა; 13. ჯუღელი; 15. ფადიკო; 16. გეტა; 17. კიტო; 20. ღვაწლი; 21. ნაგაზი; 22. „მარტელი“; 23. ნობათი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პურადი; 2. ტალი; 3. ბუკინისტი; 4. ლარნი; 8. კულუხი; 9. სალვადორი; 12. ტაპირი; 14. ტანძია; 16. აყირო.

თარაზულად: 1. პალიასტომი; 6. „კუკარაჩა“; 7. რაშკული; 9. საცივი; 10. რიგა; 11. მუხთალი; 13. პეტრა; 15. „ფატიმა“; 17. „ჰილტონი“; 18. დიზელი; 19. ოფელია; 20. კონიაკი.

საზოგადოება

ანსამბლი „რუსთავი“ ბრატისლავაში იმღერებს



ანსამბლი „რუსთავი“ ქალაქ ბრატისლავაში კონცერტს გამართავს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს საელჩო სლოვაკეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საპატიო კონსულის ნოდარ გიორგაძის თანამონაწილეობით, 24 მაისს ქალაქ ბრატისლავას მერიის სასახლეში აწყობს საზეიმო ღონისძიებას, რომლის ფარგლებში გაიმართება ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალთა გუნდის კონცერტი და მიღება.

მიღების ფარგლებში მოხდება ქართული სამზარეულოს, ღვინისა და ბრენდის დეგუსტაცია.

18 მაისი საქართველოს ეროვნული სამოსის დღეა

უკვე დიდი ხანია ეროვნული სამოსის გულშემატკივრები მოითხოვენ საქართველოში დაწესდეს დღე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეროვნული სამოსის პოპულარიზაციას დაეთმობა.

– ჩვენი სამოსი ჩვენი ისტორიაა! გააცოცხლე ისტორია შენს ქუჩაზე! გახდი გაცოცხლებული ისტორიის მონაწილე და იმოგზაურე დროში! არსებობს დიდი პერსპექტივა, 18 მაისი საქართველოს სავიზიტო ბარათად იქცეს და საუკეთესო შედეგი მოიტანოს ისტორიული მემკვიდრეობისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის. ამ დღეს ნებისმიერი მსურველი ქუჩებში მისთვის სასურველი ეროვნული კოსტიუმით გამოსვლას შეძლებს, რაც წინასწარ დაგეგმილ გამოფენებთან და ღონისძიებებთან ერთად ეროვნული სამოსის დღეს ულამაზეს კოსტიუმირებულ დღესასწაულად აქცევს, – აცხადებენ ინიციატივის ავტორები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

ამერიკელ ქალს ყურში ტარაკანა ეჯდა

ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა კეტი ჰოლიმ ისაუბრა ტარაკანაზე, რომელიც მის ყურში იყო ჩაბუდებული.

გოგონა ამტკიცებს, რომ აპრილში ის უცნაურმა შეგრძნებამ გააღვიძა. მას თავდაპირველად მოეჩვენა, რომ თითქოს ვიღაცამ ყურში ყინულის ნატეხი ჩაუდო. ის შეეცადა ყური ბამბიანი ჯოხით გამოეწმინდა და შენიშნა, რომ მას ზედ რაღაც მიეკრა.

– რამდენიმე წამის შემდეგ მივხვდი, რომ ეს ფეხები იყო! ფეხები, რომელიც შესაძლოა ეკუთვნოდა ტარაკანას, რომელმაც ჩემ სასმენ ორგანოში გასეირნება გადაწყვიტა, – იხსენებს ჰოლი.

ქალის მეუღლემ ყურში ჩახედვის შემდეგ მას ეჭვები დაუდასტურა. ამის შემდეგ ის შეეცადა ცოლის ყურიდან ტარაკანა პინცეტის დახმარებით ამოეყვანა, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. ქალი იძულებული გახდა დახმარებისთვის ექიმისთვის მიემართა. მან ქალის ყურიდან ტარაკანას სამი ფრაგმენტი ამოიღო. ცხრა დღის შემდეგ ქალი ისევ დაბრუნდა საავადმყოფოში ახალი ჩივილებით. ამჯერად ექიმმა მისი ყურიდან მწერის კიდევ ექვსი ფრაგმენტი ამოიღო, რომლებიც პირველ შემთხვევაში ვერ შენიშნა. ამის შემდეგ ჰოლი ექიმმა ოტოლარინგოლოგთან გააგზავნა, რომელმაც შემოწმების შემდეგ ქალს განუცხადა, რომ მის სასმენ ორგანოში უცხო სხეულები რჩებოდა.

– ექიმი შეიარაღდა სპეციალური ინსტრუმენტით, რომელიც დიდ მაკრატელს წააგავდა და ჩემი ყურიდან ტარაკანას თავი, სხეულის ზედა ნაწილი, კიდევ რამდენიმე ფეხი და ულვაშები ამოიღო, – განაცხადა ჰოლიმ.

ოტოლარინგოლოგის თქმით, ეს რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ ყოფილა. ჰოლი მეორე პაციენტი იყო იმ დღეს, რომელსაც ყურში მწერი ჰყავდა.

სამგლოვიარო განცხადებები

მანანა გაბუნიას მოგონება

„ ...უცებ დაიწვა ცვილის სანთელი“

ჩემო მანანა!

ორი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ გაგიხსენე სიყვარულით, ტკივილით, მონატრებით, ყოველდღე შენს საფლავთან მისვლით... ახლა შენ გაგვახსენე შენი თავი შენივე გულწრფელი ლექსებით, რომლებიც სიცოცხლის სიყვარულმა და წუთისოფელთან, შენს ძვირფას ოჯახთან განშორების წინათგრძნობამ დაგაწერინა...

ამ მოგონებაში გადავწყვიტე, დავბეჭდო ათი წლის ასაკში ჩვენი ირაკლის დაწერილი ლექსები შენზე...

ღედას

ცისკრის ვარსკვლავთან ამოსულს გხედავ,
მტრედისფერ ცაზე გაშლილი ფრთებით,
შეშფოთებული დიდი თვალებით,
შუბლზე დადებულ პატარა ხელით.

„– ვაი, ახველებს, ვაი გაცივდა,
ვაი გამიწყდა გაჩენის დღენი“
თავს დამტრიალებს, თავს დამქათქათებს
შენი მზერა და შენი ფრთები.

„– ისწავლე, შვილო, ყველაზე კარგი-
განათლებული და შეგნებული-
ეს არის ბედი,
ბედი, რომელსაც შენ გამოსჭედავ
შენი შრომით და შენი ნებით

არ მიგატოვებს და არ მოგაწყენს
ბედი, რომელიც გაგიყვანს ბნელით
და შუბლგახსნილი და მხარგაშლილი
გატარებს ქვეყნად თავისი ხელით.

გათბობდეს ცოდნის დიადი სითბო
იქეც მკურნალად მშობელი ქვეყნის,
შენ მიიზიდე, შენ გაამხნევე,
თუ ვინმეს ნახავ მოწყენილს გვერდით.

ასე მლოცავდე და მარიგებდე
მრავალ ასწლეულს, დედავ, ჩემს გვერდით
ასე მფარავდეს და მიფარავდეს
საჩრდილობელი ეგ შენი ფრთები.

* * *

შვილის გულისთვის

ჩამოეშვა ციდან ქორი სწრაფად, შხუილით,
კლანჭი დაასო პაწაწინა წიწილს შუილით,
გამოქანდა დედა კრუხი აფოფრილი ჭრელი ბუმბულით
და დაერჭო მტარვალის წინ, როგორც შურდული.

უცებ ეზოში გაინაბა ყველა სულდგმული,
მიწას გაეკრა ვისი სისხლი, ვისი ბუმბული,
პატარა დედას ჰქონდა მხოლოდ ერთი სურვილი,
თავი შეეკლა მტარვალისთვის შვილის გულისთვის.

კრუხი ვერ გრძნობდა ვერც მტრის ძალას, ვეღარც სიმწარეს
შვილიკოსთვის ახტებოდა, ალბათ, რომ ცამდე
ომი იყო გაჩაღებული, მართლაც, რომ ცხარე
შვილს არ თმობდა დედა კრუხი, იყო სიცხადე.

ქორი მიხვდა, არ ჰყოფნიდა აქ მისი ძალა,
დედის სიყვარულს ვერ დაამარცხებს ვერც ერთი ძალა,
კლანჭი უშვა პატარა მსხვერპლს, აფრინდა მაღლა
და ზემოდან გადმოხედა ბრძოლის ველს მწყრალად.

იქ დედა შვილს იხუტებდა ფრთების ქვეშ მაგრად,
გამარჯვებული დედის გული მღეროდა ალბათ,
სანამ მე ვარ, ვერ მომტაცებ შვილიკოს, არა
რომ დაეშვან მთიდან დევნი ასწყვილად, ჯარად.

* * *

და შენი ამ ქვეყნიდან წასვლის წინ დაწერილი ლექსები ირაკლიზე და ჩემზე

ჩემს შვილს – ირაკლის

ნეტავი სადა ხარ? ფიქრებით აღარ ვარ,
სად დააქროლებ ფრთამალ რაშს – ანტარას?
რომელ კონტინენტს ეწვიე ამჟამად?
რომელ უდაბნოს დალაშქრავ თამამად?
სად დაედევნები აქლემთა ქარავანს?
სად აშლი ქვიშას და მისწვდები კლდის ქარაფს?
სად ჩაუქროლებ ტალღებს შარავანდს?
რომელ არწივთან ჰკრავ ცაზე კამარას?
წაგრძელებულ და დაბერილ კისერს
რომელ წყაროს წყლით იგრილებ ამხანად,
ცისარტყელების დევნა რომ გასწავლე,
ალბათ იმიტომ იწამე შარაგზა...
ყველა მხარეში არსებობს ლამაზი
ჩიტი თუ ყვავილი, ტბა, მთა თუ ანკარა
წყარო და ველები, უდაბნო ღაჟღაჟა,
ბრწყინვალე ვარსკვლავი, მთვარე, მზე – ცხრათვალა,
ყველა მოგიწვევს... საცქერად, საჭვრეტად...
თუ არ შეისვენებ, თუ არ გაჩერდები,
აქ შიშისგან, იცოდე, აღარ ვარ.

* * *

ნუგზას

ბავშვობაში შემთხვევით რომ
შეგხვედროდი...
ეშმაკს და საზრიანს,
ცელქს და ხალისიანს,
იყავი, ალბათ, ლოყებდაბერილი,
წარბებდაქაჩული, ტორებდათეთქვილი,
გიყვარდა ბავშვების მხედრულად დაწყობა,
სულ თავში დადგომა, მკაცრი მბრძანებლობა:
და თუ პატარა თავისას ჩემობდა,
მწარედ დატუქსავდი, არ ჰქონდა შენდობა,
ნამცეცა გოგონას დედოფლებს წაართმევდი,
იქნებ ატირებდი, იქნებ აცინებდი...
დაგიმახსოვრებდი და მერე ოდესღაც,
როცა გნახავდი, როცა შეგხვდებოდი,
შენს გაღიმებას აღარ ვენდობოდი,
მაგრამ ბადეში მაინც მოვხვდებოდი,
ბედის ანაბარა, წერას ავყვებოდი,
სულელი ბატივით თან გამოგყვებოდი,
ტვინის განძრევას აღარ ვინდომებდი.

* * *

ღმერთო, სულმართალო
შენი განჩინებით
რატომ გამაჩინე ასეთი გამრჯელი.
თუ ფუჭად ჩაყრიდი, რაც კი მიშრომია,
რაც კი მიწვალია, რაც კი მიფიქრია.
მე ხომ ეს მინდოდა,
კარგი საქმენი ხალხისთვის მიმეტანა,
მათთვის ამეცდინა ტკივილი-სასჯელი,
შენ კი ჩარეცხე ყოველი სათქმელი,
მიწას გაუსწორე ჩემი სახელი.

შენი საყვარელი მეუღლე

ნუგზარ ფიფია

12 მაისი, 2018 წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ კათედრის პროფესორს, ქალბატონ ეკა ლეკაშვილს გარდაეცვალა მამა

რობერტ ლეკაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მეხანძრეებს წიწილები შეეცოდათ და გაზით მოწამლეს

ბელგიელმა მეხანძრეებმა ბრიუსელის აეროპორტში გაზით 20 ათასი წიწილა მოწამლეს. მაშველებმა ასეთი ნაბიჯის გადადგმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ფრინველებით დატვირთული კონტეინერი დასვენების დღეებში მცხუნვარე მზის ქვეშ იდგა.

ტვირთი კინშასაში, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში, უნდა გაეგზავნათ, თუმცა თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობის გამო რეისი გადაიდო, ხოლო მოგვიანებით საერთოდ გაუქმდა, ვინაიდან პილოტმა აფრენაზე უარი განაცხადა. ცხოველთა დამცველებმა განგაში ატეხეს, ვინაიდან მთელი ამ დროის განმავლობაში წიწილები წყლისა და საკვების გარეშე იყვნენ, ხოლო კონტეინერში ჰაერის ტემპერატურა დასაშვებზე მაღალი იყო.



მეორე დღის საღამოსთვის წიწილებმა დახოცვა დაიწყეს, მაგრამ ტვირთის გამგზავნმა კონტეინერის უკან მიღებაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ ვეტერინარებმა წიწილების ლიკვიდირების გადაწყვეტილება მიიღეს, რათა მათთვის ტანჯვა შეემსუბუქებინათ.

ადგილობრივმა მეხანძრეებმა ფრინველების დახოცვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, ვინაიდან, მათი განმარტებით, მათ მოვალეობას სიცოცხლის გადარჩენა წარმოადგენს და არა მისი შეწყვეტა. ამიტომ ისინი უახლოეს ქალაქ ზავენტემიდან ჩამოყვანილმა მეხანძრეებმა შეცვალეს, რომლებმაც კონტეინერი ამოქოლეს და შიგნით ნახშირორჟანგი შეუშვეს.

პოლონეთში გზატკეცილი შოკოლადით დაიფარა

პოლონეთში სატვირთო მანქანა, რომელსაც ავზებით თორმეტი ტონა თხევადი შოკოლადი გადაჰქონდა, ვარშავასა და პოზნანს შორის მდებარე გზატკეცილზე გადაყირავდა.

ავზების შიგთავსი გზაზე გადმოიღვარა და შედეგად ორმხრივი მოძრაობა გადაიკეტა. შემთხვევის ადგილზე გამოიძახეს სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები. მათი თქმით, გზის შოკოლადისგან გაწმენდა არც ისე ადვილია, ვინაიდან ის სწრაფად მყარდება. მისი აღების ერთადერთი საშუალება მასზე თბილი წყლის დასხმაა.

სატვირთო მანქანის მძღოლი ავარიის შედეგად დაშავდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 მაისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4505	ევრო — 2.9129
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3349	100 რუსული რუბლი — 3.9418

ამინდის პროგნოზი 12 მაისისთვის

3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ამერიკელის სახლში ჭერიდან ენოტის ოჯახი ჩამოვარდა

ამერიკის მიჩიგანის შტატის დასახლება შერიდანში მცხოვრების სახლის ჭერიდან ენოტების ოჯახი ჩამოვარდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

დედა ენოტი სახლის სხვენში ხუთ ნაშიერს ზრდიდა. როდესაც ისინი ცოტათი წამოიზარდნენ, ჭერმა მათ სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და ჩამოვარდა და ისინი პირდაპირ სასტუმრო ოთახში მდგარ დივანზე დაეცნენ. სახლის გაოგნებულმა პატრონმა მაშინვე მეხანძრეები გამოიძახა.

სამაშველო ოპერაციის დროს დედა ენოტი მეტად აგრესიულად იქცეოდა და ერთ-ერთ მეხანძრეს ხელზე უკბინა. საბოლოოდ მისი დაჭერა და გალიაში მის ნაშიერებთან ერთად ჩასმა მაინც მოხერხდა. მოგვიანებით ისინი ბუნებაში გაუშვეს. დაკბენილი მაშველი სერიოზულად არ დაშავებულა, მაგრამ ცოფზე ანალიზების ჩაბარება მოუხდა.

ასი წლის ბრიტანელი საკუთარ დღეგრძელობას ლუდს უმადლის

ასი წლის ბრიტანელმა დორის ოლივ ნეტინგმა აღიარა, რომ მისი დღეგრძელობის მიზეზი დღეში ერთი ჭიქა ლუდის დალევის ჩვევაა. ამაზე დორისმა ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემასთან ისაუბრა.

ნეტინგი, რომელიც ინგლისის ქალაქ პლიმუთში ცხოვრობს, ჭიქა მუქ ლუდს მას შემდეგ სვამს, რაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. ქალი ამტკიცებს, რომ მას ამისკენ უბიძგა სასმელის რეკლამამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ლუდი ბევრ რკინას შეიცავდა.

როდესაც დორისი 85 წლის შესრულდა, შვილიშვილებმა ის დუბლინში ექსკურსიაზე წაიყვანეს სწორედ იმ ქარხანაში, რომელიც მის საყვარელ ლუდს აწარმოებს. მისი შვილიშვილი ამტკიცებს, რომ ნეტინგი ყოველდღე პატარა ბოთლი ლუდის მიღებას აგრძელებს, იმის მიუხედავად, რომ ექიმები ამის გაკეთებას არ ურჩევენ. მას ლუდის სამკურნალო თვისებების სჯერა.

ხანდაზმულთა სახლის თანამშრომლებმა, სადაც ამჟამად ნეტინგი ცხოვრობს, მის იუბილეზე ლუდის საღამო გამართეს და ლუდის კომპანიის სიმბოლოს ფიგურა – ტუკანი – აჩუქეს. გინესის წარმომადგენლებმა თავიანთ ერთგულ კლიენტს რამდენიმე ბოთლი სასმელი და ჩიფსები გაუგზავნეს ლუდის გემოთი. ასევე ქალმა დედოფალ ელისაბედ მეორისგან მისალოცი დეპეშაც მიიღო.

ციყვმა ჭოკზე ცეკვა შეასრულა

აშშ-ში ციყვმა იმისთვის, რომ საკვებს მისწვდომოდა, თავისდაუნებურად ჭოკზე ცეკვა შეასრულა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი მისმა ავტორმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

ვიდეოზე, რომელიც ფლორიდის შტატშია გადაღებული, ცხოველი ცდილობს, ფრინველებისთვის განკუთვნილ საკვების დასაყრელ ნაგებობას მისწვდეს, მაგრამ ყოველ ჯერზე უკანვე სრიალდება. საბოლოოდ ცხოველმა ამ უშედეგო მცდელობებს თავი დაანება და გაიქცა.

ვიდეოს ავტორი განმარტავს, რომ ჭოკი, რომელზეც ფრინველებისთვის საკვების დასაყრელი მოწყობილობაა დამაგრებული, დედამისმა ზეთით გაპოხა, ვინაიდან მას მობეზრდა, ციყვები ჩიტებს საკვებს რომ ჰპარავდნენ. ვიდეორგოლი 389 ათასამდე ინტერნეტმომხმარებელმა გააზიარა, ხოლო 967 ათასზე მეტმა მოიწონა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენი სიდედრი როგორი გამხდარია და რატომ?

– მსუქანი გველი სადმე გინახავს?!

●●●

ავადმყოფი ექიმს ეკითხება:

– როგორია ჩემი შანსები ექიმო?

– ათასიდან ერთი.

– ასე ცუდადაა საქმე?

– ყოველ ათასზე ერთი შანსი გემატება.

●●●

საკლასო წერის დროს ერთმა მოსწავლემ მეორეს ყურში ჩასჩურჩულა:

– რა მაგარი უკანალი აქვს ჩვენ მასწავლებელს.

მასწავლებელმა შენიშნა და შენიშვნა მისცა:

– თემო, ნუ კარნახობ გიგის. მაგან ისედაც ყველაფერი კარგად იცის.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– აბა, რას მეტყვი, მოგეწონა სადილი?

– სკანდალის მიზეზს ეძებ?

●●●

მამაკაცი ტელეფონზე რეკავს:

– მე ტაქსი შეგიკვეთეთ, რათა თვითმფრინავზე არ დამგვიანებოდა! ის კი საერთოდ არ მოსულა!

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თავისუფალი მანქანა არ გვყავდა. შეეცდებით, სასწრაფოდ გამოვასწოროთ საქმე, თქვენ გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, დღეს თვითმფრინავები ზუსტად განრიგით თითქმის აღარ დაფრინავენ!

– ამ დილით თვითმფრინავი განრიგის მიხედვით ნამდვილად ვერ გაფრინდება, ვინაიდან პილოტი მე ვარ!

●●●

ექიმი-ფსიქოანალიტიკოსი პაციენტს ეუბნება:

– ჩატარებული კვლევის შემდეგ ორი ამბავი მაქვს თქვენთვის სათქმელი, ცუდი და კარგი.

– ცუდი რომელია?

– ცუდი ის არის, რომ თქვენ ფარული ჰომოსექსუალი ხართ.

– და კარგი რაღაა?

– მე თქვენ მომწონხართ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუბეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

კრიშტიანო რონალდომ შესაძლოა ფინალი გამოტოვოს

მადრიდის რეალის ლიდერმა კრიშტიანო რონალდომ ბარსელონასთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება ის მოედანს.

თავიდან ეს ტრამვა სერიოზული არ ჩანდა, მაგრამ ესპანურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ რონალდომ შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის ფინალიც კი გამოტოვოს, რაც რეალისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება.

ჯერჯერობით რეალის წარმომადგენლები ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი 26 მაისს, კიევში გაიმართება.

სერხიო აგუერო ესპანეთში გადადის?

მანჩესტერ სიტის ფორვარდმა სერხიო აგუერომ შესაძლოა ზაფხულში გუნდი დატოვოს და ესპანეთში დაბრუნდეს.

აგუეროს შეძენა მადრიდის ატლეტიკოს სურს, სადაც აგუერო 2007-2011 წლებში თამაშობდა. ანტუან გრიზმანი სავარაუდოდ ატლეტიკოს დატოვებს და მადრიდში მის შემცვლელს უკვე ეძებენ.

აგუეროსთვის ატლეტიკო პირველი ევროპული გუნდია, სადაც მან გაითქვა კიდეც სახელი. ჯერჯერობით აგუეროს ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ ინგლისში საკმაოდ ბევრს საუბრობენ მანჩესტერ სიტიდან მის შესაძლო წასვლაზე.

იაია ტურე: „ბარსელონაში სიამოვნებით დავბრუნდებოდი“



კოტ დივუარელმა ფეხბურთელმა იაია ტურემ, რომელმაც მანჩესტერ სიტი დატოვა, განაცხადა, რომ ის ბარსელონაში დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა. ტურე ბარსელონას ღირსება 2007-10 წლებში იცავდა:

– ბარსელონაში სიამოვნებით დავბრუნდებოდი, რადგან ამ გუნდთან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს. გარდა ამისა, მესიც ძალიან მომენატრა. მასთან ერთად თამაში უდიდესი ბედნიერება იყო. ბარსელონას მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობები მექნება.

ჯერჯერობით უცნობია თუ სად გააგრძელებს კარიერას კოტდივუარელი ფეხბურთელი.

რეალმა რობერტ ლევანდოვსკიზე უარი თქვა

მადრიდის რეალს რობერტ ლევანდოვსკის შეძენა აღარ სურს, რადგან მისი მთავარი სამიზნე სავარაუდოდ ნეიმარი იქნება.

გარდა ამისა, ლევანდოვსკიმ საკმაოდ ცუდად ჩაატარა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური შეხვედრები რეალის წინააღმდეგ და ორ მატჩში ვერცერთი გოლის გატანა ვერ შეძლო. პოლონელი ფორვარდი გერმანიაშიც გააკრიტიკეს და შესაძლოა, მომავალ სეზონში მან ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 2. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 3. ტურისტთა, მოგზაურთა ცნობარი; 4. მე-14 საუკუნის ქართველი ფერმწერი, მოხატა უბისის მონასტერი; 5. კრემის გულიანი ნამცხვარი; 9. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება; 11. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 12. სოფელი ხევსურეთში; 14. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 18. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 19. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე.

თარაზულად: 4. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 5. სახელმწიფო ევროპაში; 6. უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი; 7. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 8. ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 10. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 13. უკრაინელი ესტრადის მომღერალი ქალი; 15. ფარული დაცინვა; 16. უკრაინის პარლამენტი; 17. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 20. ფრთოსანი მერანი ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ხიდის საყრდენი ბურჯი; 22. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 23. ქართული ტელეკომპანია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა